პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობართა დეკანოზების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი

პარასკევი, 26 აგვისტო, 1949 წ. № 169 (8472). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საამქროს პარტიული ორგანიზაცია — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
ბოლშევიკური გულისხმიერების შესახებ — „პრავდის“ 25-VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება ქალაქ თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის (მე-3 გვერდი).
მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის (მე-3 გვერდი).
ა. ე. ვოროშილოვის სიტყვა რუმინეთის განთავისუფლების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1949 წლის 22 აგვისტოს (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საამქროს პარტიული ორგანიზაცია

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მაღალი დონე საწარმოში, მოცემული სამეურნეო დავალების წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობაზე. საამქროს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მუშებთან, მოწოდებულია განუხრელად ატარებდეს ცხოვრებაში ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს, რაზმავდეს მასებს პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელებისათვის, სათავეში ედგეს კომუნისტებსა და უპარტიოებს თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული საქმიანობის უკეთ დაყენების საქმეს. საამქროს პარტიული ორგანიზაცია ამ საპატიო ამოცანას წარმატებით მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს, თუ კარგად მოაწყობს შინაპარტიულ მუშაობას, ყველა კომუნისტს ჩააბაბს აქტიურ პარტიულ საქმიანობაში, მჭიდრო კავშირი ექნება მასებთან და სათავეში ჩაუდგება მათ პოლიტიკურ აქტივობას.

საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უშუალო წარმმართველია მისი ბიურო და პირველ რიგში მდივანი. ეს კი ყოველი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანსაა და მისი ბიუროს წევრებს აკანონებს განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეპყრონ მინდობილ საქმეს. თავ ერთი წუთითაც არ უნდა აეიწყვიბოდეთ: პარტიულ ხელმძღვანელად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ იყო პოლიტიკურად მომზადებული, საქმის მცოდნე, აგიტორიტეტიანი, მასების ნამდვილი წინამძღოლი და ორგანიზატორი.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზების უკანასკნელად ჩატარებული არჩევნების დროს მრავალი ახალგაზრდა კომუნისტი დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. მათ შორის მრავალია საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მისი მოადგილე, ბიუროს წევრი. პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება მათ არა აქვთ. ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა გულისხმიერად მოეკიდონ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და ბიუროს წევრებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეს.

საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის კარგად მოწყობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს მას საწარმოს პარტიული კომიტეტი, პარტიული ბიურო. საწარმოს პარტიული კომიტეტი ვალდებულია თავის სხდომებზე სისტემატურად იხილავდეს საკითხს საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, უსახავდეს მათ კონკრეტულ ამოცანებს, პრაქტიკულად ეხმარებოდეს საკითხების გადაჭრაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნისა და ბიუროს წევრების თეორიული მომზადებისა და პრაქტიკულ მუშაობაში დახელოვნების საქმეს. ამ მიზნით მათთვის სისტემატურად უნდა ეწყობოდეს კვალიფიციური მოხსენებები, ლექციები, კონსულტაციები, გასაუბრებანი.

პარტიის საქალაქო, რაიონული და პირველ რიგში საწარმოთა პარტიული კომიტეტები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ თავიანთ სხდომებზე განიხილონ საკითხი ცალკეული საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. ამასთან საჭიროა განზოგადებულ და გავრცელებულ იქნას იმ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, სადაც მაღალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა საამქროების პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა სერიოზულ სამეურნეო-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა. ისინი სათავეში უდგანან საწარმოთა კოლექტივების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას, ამრავლებენ წარმოების ნოვატორთა რიგებს, წარმატებით იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ზეგეგმით დაგროვებისათვის, რენტაბელობისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის.

თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროსა და ამწყობი საამქროს პარტიული ორგანიზაციები წარმატებით ასრულებენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. აღნიშნულ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების კრებები ყოველთვის მომზადებულად და მაღალ იდეურ დონეზე ტარდება, ყველა კომუნისტები აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასობრივ-საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებას. კომუნისტების შეგებულობისა და ავანგარდული როლის განუხრელი ზრდის შედეგად ამ საამქროთა კოლექტივები სასახელოდ ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ ვალს საშობლოს წინაშე, წარმატებით იბრძვიან მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის განმტკიცებას. ყველა კომუნისტი დაუფლავად ეუფლება ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას. საამქროს პარტიული ორგანიზაცია კარგად ეხმარება კომუნისტებს, იბრძვის მათი აქტიურად ფლობის განმტკიცებისათვის. ამ საამქროს ყველა კომუნისტი სტახანოველია.

ასევე კარგად მუშაობენ ქუთაისის მაუდის ფაბრიკის და რესპუბლიკის სხვა მრავალ საწარმოთა საამქროების პარტიული ორგანიზაციები.

აღნიშნულ საწარმოთა საამქროების პარტიული ორგანიზაციების მაღალ-ყოფიერი მუშაობა პირველ რიგში იმით უნდა აეხსნათ, რომ მათ კარგად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან საქალაქო, რაიონული და საწარმოს პარტიული კომიტეტები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის „საქტრიკოტაჟის“ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. ფაბრიკის ძაფსახვევი საამქროს პარტორგანიზაციაში მიმდინარე წლის აპრილის შემდეგ პარტიული კრება არ ჩატარებიათ. ამ საამქროს კომუნისტები ჩამოული არ არიან პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, არც ერთ მათგანს პარტიული დავალება არა აქვს, არ იმაღლებენ იდეური მომზადების დონეს. პარტორგანიზაციას სამუშაო გეგმა არ გააჩნია, პარტიული მეურნეობა ქაოსურ მდგომარეობაშია. ამავე ფაბრიკის სამკერვალო საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ თითქმის ერთი წლის წინათ შეწყვიტა მუშაობა. ამ ორგანიზაციის მდივანმა არაერთხელ მიმართა ქარხნის პარტბიუროს მდივანს და პარტიის კიროვის რაიკომის წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ მას არ შეეძლო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაძღოლა, მაგრამ დღემდე მათ არავითარი ზომები არ მიუღიათ. ამ საამქროს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა მხოლოდ საწერეო ანარიცხების აკრეფით განისაზღვრება. ანალოგიური მდგომარეობაა ამ ფაბრიკის თითქმის ყველა საამქროში.

ამგვარად, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთან ერთად წარმატებით იბრძვიან მეოთხე ხუთწლიანი გეგმის დამამთავრებელი წლის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, განსაკუთრებით დიდია საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი როლი. რაც უფრო კარგად იმუშავებს საამქროს პარტიული ორგანიზაცია, მით უფრო მეტი იქნება საწარმოს კოლექტივის სამეურნეო და პოლიტიკური წარმატებანი, მით უფრო მეტ მიღწევებს მოეპოვებით ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი გადიდების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში

ი. ბ. სტალინის მონუმენტი კოლმეურნეობაში

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). სოფელ ჭოღის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ დაიდგა ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

მონუმენტის ირგვლივ გაშენდა ბაღი.

მყნობელ ევგენი ბერაიას ახალი ნარმაჯები

ლანჩხუთი. (ტელეფონით). ციტრუსების მყნობის ცნობილმა ოსტატმა ორდენოსანმა ევგენი ბერაიამ 23 აგვისტოს ახალ მესანიშნავე წარმატებას მიაღწია, ერთ დღეში დაამყნო 7.529 ძირი ლიმონი, დღიური დავალება შეასრულა 1.550 პროცენტით და 303 ძირით გადააჭარბა ნარანგული მეციტრუსის გენო ნაკეთის მიერ ამ დღეებში დამყარებულ რეკორდს.

წელს სეზონის დაწყებიდან ამხ. ბერაიას დამყნობილი აქვს 46.000 ძირი ციტრუსი.

საკოლმეურნეო სოფელი სახეს იცვლის

დუშეთი. (საკ. კორ.). დღითი დღე ლამაზდება და მშვენდება მაღალმთიანი სოფელი ხევშა-ციკანი. სოფელს უკვე აქვს საკუთარი ჰიდროელსადგური, სკოლა, მრავალი საკოლმეურნეო ნაგებობა და საავტომობილო გზა. სოფლის ცენტრში აღმართულია ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

ამ დღეებში კოლმეურნეობამ დაამთავრა ორსართულიანი შენობის აგება, რომლის ქვედა სართულში მოწყობილია ყველის შესანახი ატზი და საწყობი, მეორე სართულში კი მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, ბიბლიოთეკა, სასტუმრო და მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინები.

რაღიო კოლმეურნეობებში

ქობულეთი. (საკ. კორ.). რაიონში სოფელ ბობოყათის მოლოდოვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. გასულ წელს ამ კოლმეურნეობამ დაგვის ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეებთან ერთად ააშენა ძმაური ჰიდროელექტროსადგური. ამას გარდა, ბობოყათელმა კოლმეურნეებმა ააშენეს რადიოვანძი, რომელიც ჭიმასხურებას გაუწევს 300 რადიოწერტილს. ბევრი კოლმეურნე უკვე სახლში ისმენს რადიოს.

კვანძთან მოეწყობა აგრეთვე რადიოგადამცემი საკოლმეურნეო რადიომაუწყებლობისათვის.

სტალინირი. (საკ. კორ.). რაიონში ფართოვდება რადიოფიკაცია. ახალი ხაზები გაყვანილ იქნა ვალავანთიყაუს და ხეთაგუროვის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში.

ახალი საშუალო სკოლა

სურამი. (საკ. კორ.). დაბა სურამში დამთავრდა ახალი ორსართულიანი სახლის აგება სამფალო სკოლისათვის. გამართული და კეთილმოწყობილია 25 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა და სასწავლო კაბინეტები.

ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები შეეკვენ ახალ კეთილმოწყობილ სკოლაში.

თბილისის მშენებლობებზე

მელიქიშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია

მელიქიშვილის ქუჩა თავისი სივიწროვის გამო მრავალგვარ უხერხულობას ქმნიდა. ამ ქუჩაზე ძნელდებოდა მოძრაობა, მიწისქვეშა ნაგებობათა და გაყვანილობათა მოყვანა-აპატრონობა. დიდი მოძრაობისა და ქუჩის გადატვირთვის გამო ზოგჯერ აქ უბედური შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. ახლა მიმდინარეობს ამ ქუჩის რეკონსტრუქცია.

ბევრს აინტერესებს, როგორი იქნება ეს ქუჩა მაშინ, როცა მისი მშენებლობა დამთავრდება, რა ეკეთდეს, რა კორეკტივები უნდა იქნას შეტანილი ამ ქუჩის ახლანდელ ხედში, ვინ არიან მისი მშენებლები.

მელიქიშვილის ქუჩა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალს—ლენინის ქუჩას აერთებს ვაკის მაგისტრალთან — მარის ქუჩასთან, 13 მეტრი სიგანისა იყო. აქედან ტროტუარებს ეკავა 5 მეტრი, ხოლო საკუთრივ საკალაო ტრანსპორტის სამოძრაოდ რჩებოდა 8 მეტრი. ამ 8 მეტრიდან ტრამვაის წყვილი ლიანდაგი ისე ტეხილად ეგო ქუჩის, რომ ავტოტრანსპორტისათვის, თუ არას ვიტყვით ეგრეთ წოდებულ „რბილ საკალაო ტრანსპორტზე“ (ტროლეიბუსი, დიდი ავტობუსები), ადგილი ალარ რჩებოდა. მოთბოვნილება კი ამ მიმართულებით გაუმჯობესებული საკალაო ტრანსპორტის გაშვებისა დიდი და კიდევ მეტი იქნება ახლო მომავალში, როცა დამთავრდება ვაკის დასახვეხელელი პარკის, დიდი სტადიონის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მთელ რიგ სხვა დაწესებულებათა ნაგებობების მშენებლობა.

გაფართოების შემდეგ მელიქიშვილის ქუჩის სიგანე 20 მეტრი იქნება, მის ორივე მხარეს გაკეთდება ტროტუარები და მათს გაფოლებით დეკორაციული გაზონები, ტრამვაის ლიანდაგები გადატანილი იქნება ქუჩის შუა ადგილის, რათა მათ ორივე მხარეს შესაძლებელი გახდეს საკალაო ტრანსპორტის ნაკადთა შუფერტებელი მოძრაობა. გადაწყვეტილია ამ ქუჩაზე ტროლეიბუსის ხაზის გაყვანაც.

ქუჩის გასაფართოებელ სამუშაოებთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მიწისქვეშა გაყვანილობათა გადაკეთება (წყალსადენი, კანალიზაცია და ა. შ.). ამის პარალელურად დაწყებულია ახალი საბინაო მშენებლობა. დამთავრებულია საფუძველი და უკვე კიდევაც ამოყვანილ იწყებენ შამპანური ღვინოების კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ხუთსართულიანი სახლის ასაგებად, დაწყებულია ბერეთის მუშაობა მის გვერდით ახალი ხუთსართულიანი სახლის ასაგებად, რომლის ერთი მხარე ეაზბეგის ქუჩაზე „გავა. ამ სახლს აშენებს თბილისის სამუშაო აღმასკომი. სამედიცინო ინსტიტუტის შენობიდან ჯანაშიას ქუჩამდე დიდი და მრავალსართულიანი შენობის აგების ნებართვა მისცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც მშენებლობას მოკლე ხანში უნდა შეუდგეს. ასევე გადაწყვეტილია მრავალსართულიანი ახალი შენობის აგება პატრიოტიზმის და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში.

საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩატარდება ქუჩის მეორე მხარეზეც. აქაც მომავალში ალარ იქნება დაბალი, ქუჩის ხედის დამამახინჯებელი სახლები. მათ ნაცვლად ახალ შენობებს აღმართავენ.

რაგდან ის შენობა, სადაც ახლა ფეთიაქია მოთავსებული (ჯანაშიასა და პეტრიაშვილის ქუჩების კუთხეში) წითელ ხაზს ნაწილობრივ გადმოცილებულია, გადაწყვეტილია ამ შენობის პირველი სართულის გადაკეთება დახურულ კვაფენილად, ხოლო ფეთიაქი გადატანილი იქნება მახლობლად აგებულ ახალ შენობაში.

ყველა ახალ სახლს, რომელთაც ამ ქუჩაზე აშენებენ, პირველ სართულებში ექნებათ კარგად მოწყობილი სავაჭრო დარაბები.

ქუჩის რეკონსტრუქცია, მისი გაფართოება და სასაორულოდ გახსნა (გარდა ახალი სახლების მშენებლობისა), უნდა დამთავრდეს მომდინარე წლის ბოლოსდე. ასეთი სამუშაოები ამოცანა აქვთ დედაქალაქის მიერ დავალებული ამ ქუჩის მშენებლებს. ვინ არიან ისინი?

კასპის რაიონის მშრომელებმა მუდამ საამაყოდ ეკნებათ, რომ დედაქალაქის ამ ცენტრალური ქუჩის გაფართოებაში მათ მნიშვნელოვანი შრომითი წვლილი შეიტანეს. ამ რაიონიდან ჩამოსული 50 ვაჟკაცი მუშაობს ამჟამად მელიქიშვილის ქუჩის გაფართოებაზე. საუკეთესოდ მუშაობენ დიმიტრი თათიხაშვილის, მიხეილ სულეიმანოვის და ივანე გიდეტრიხშვილის ბრიგადები. ყოფილი კოლმეურნეები, ახლა ჩვენი დედაქალაქის აქტიური მშენებლები არიან თათიხაშვილის ბრიგადის წევრები ტარიელ ფირალიშვილი, გიგი შალტაური, არსენ ბარნოვი, სოლომონ მარჯანაძე, ალექსი გოდერძიშვილი, ვანო ტატაშვილი და ნიკოლაზ ბაბულაშვილი. მიხეილ სულეიმანოვის ბრიგადაში საუკეთესო მიწისმთხრელები სოლეიო ნაგრაზაშვილი, გაბო ქვეთარაძე, შაქრო ელისაბედაშვილი და ალექსი თათიხაშვილი შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ. მათ არც გიდერძიშვილის ბრიგადაში მომუშავენი ვალერიან ლეკოშვილი, ვანო შაქარაშვილი, ამირან სულეიმანოვი და სხვები ჩამორჩენიან.

კასპიდან ჩამოსულ მშენებლებს უნარიანად ხელმძღვანელობენ სამუშაოთა მწარმოებელი ინენერი ივანე გაჩეჩილაძე, ტექნიკოსები შალვა დავითულიანი, შალვა ჩარკვიანი და რობერტ წოვიანოვი.

კასპელები აშენებენ ამ ქუჩას. მათი შრომისა და დედაქალაქის ალორძინებისათვის გაწეული ამაგის უკვდავ ძეგლად დარჩება ფართო, ლამაზი ქუჩა მელიქიშვილის სახელობისა.

დ. ლომოძაძე

ხის ნახევრადწვეული ღარეგი ხე-ტყის გამოსაზიდად

ზემო სვანეთი. (საკ. კორ.). ზემო სვანეთის სატყეო-სარეწველო მეურნეობას ხე-ტყის გამოზიდვა ხშირად ძნელად მისასვლელი ადგილებიდან უხდება. ასეთ ადგილებში სატრაქტორო და საავტომობილო გზების გაყვანა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ლ. ბერიას სახელობის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ გულისამეილის წინადადებით, ხე-ტყის დამზადების ქვედა იფარის უბანში შეუდგენენ ორნახევარი კილომეტრის სიგრძის ხის ნახევრადსველი ღარის მშენებლობას. ღარის სიგანეა ერთი მეტრი, სიმაღლე — 60 სანტიმეტრი. ღარზე 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე დაუშვებენ მთის წყალს, რომელიც ამ ყოველ უბანში ბლომადაა. 16 აგვისტოს პროფესორ გულისამეილის, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებისა და ინენერ-ტექნიკური პერსონალის თანადასწრებით 300 მეტრის სიმაღლიდან სცადეს ღარზე მორების დაცურება: შედეგი ყოველსმხრივ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

მალე ხის ნახევრადსველი ღარების მშენებლობა სხვა უბნებშიც გაჩაღდება.

ახალი სანატორიუმი

ქლუხორი. (საკ. კორ.). კურორტ ტებერდაში საქართველოს საკურორტო სამმართველომ გახსნა ახალი სანატორიუმი. იგი 120-ადგილიანია. სანატორიუმი საუკეთესოდ არის მოწყობილი. მას აქვს საკუთარი ფიზიო-თერაპიული და კბილის სამკურნალო კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სასპორტო მოედანი და სხვ.

კარგი ინიციატივა

თიანეთი. (სპეც. კორ.). საყდრიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. თუშური) წელს თვალსაჩინო მუშაობა გასწია სოფლის კეთილმოწყობისათვის. კოლმეურნეებმა რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი, შეაკეთეს სოფელში მისასვლელი გზა, გზის ორივე მხარეს გააშენეს შეზვინე ნარგავები, ააგეს აბანო, გარდა ამისა, კოლმეურნეობამ აიშენა ავტურაქამიტის ქარხანა, რომელიც უშვებს საუკეთესო ხარისხის ავურსა და კრამიტს. წელს კოლმეურნეებმა ქარხნის მიერ გამოშვებული ავურითა და კრამიტით ააგეს მსწავლელთა პიონერთა სადგომი და მარცვლეულის შესანახი ფარდული. ამას გარდა კოლმეურნეობამ წელს დამატებით ააგო ორი ახალი სასილოსე ორმო.

ღიბანის სანატორიუმის რეკონსტრუქცია

ბორჯომი. (საკ. კორ.). დამთავრდა საყაკვირო პროფსაბჭოს ღიბანის სანატორიუმის რეკონსტრუქცია. მოწყობილია ახალი კინოდარბაზი. მესამე სართულის ღია ვერანდა ნაწილობრივ გადაკეთდა პალატებად. შენობის ერთ მხარეს დამატებით დაშენეს ოთახები. რეკონსტრუქრებულია სასადილო, ვესტიბიული და ოთახები, მოეწყო ბიბლიოთეკა. გამოცვლილ იქნა ელექტროგაყვანილობის ძველი სისტემა. შეკეთდა და შეიღება სანატორიუმის სახურავი.

სანატორიუმის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 850 ათასი მანეთი.

კომუნალური სახლები ჩაის მრეწველობის ინენერ-ტექნიკურ მუშაკთათვის

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ჩაის მრეწველობის ინენერ-ტექნიკურ მუშაკთათვის წალენჯიხაში აშენებენ ორსართულიან შენობას. ახალი შენობა 16-ბინიანი იქნება. ორ ასეთსავე კომუნალურ სახლს აშენებენ ბერიას სახელობის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაშიც. სამივე სახლის მშენებლობა 7 ნოემბრისათვის დამთავრდება.

საკოლმეურნეო აბანოები

ბოლი. (საკ. კორ.). ამ უკანასკნელ დროს რაიონში ფართოდ გაჩაღდა საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა. საექსპლოატაციოდ უკვე გადაცემულია 14 აბანო. მშენებლობის პროცესშია 7 აბანო, რომლებიც შემოდგომაზე დამთავრდება.

აბანოების მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობს დიდი ბერეშეთის, ქვემო სკრის, ხელთუბნის, ფორტ-ას, ვარიანის და სხვა კოლმეურნეობებში.

ძუთაისი. (საკ. კორ.). სოფელ ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ააგეს ახალი საკოლმეურნეო აბანო, რომელსაც აქვს ორი (ძაძაკაცებისა და ქალების) განყოფილება.

საკოლმეურნეო აბანო ყოველდღიურად მოეგებსახურება 100-მდე კაცს.

სოციალისტური შრომის გმირები

ჯ. ს. ტყეშელაშვილი

ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 28,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველყოფისათვის.

ს. ვ. სირაბილაძე

მაიაკოვსკის რაიონის ობნის სასოფლო საბჭოს ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 110,5 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

დ. გ. ძაბირაძე

მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველყოფისათვის.

ხ. გ. ხაჩატურიანი

გაგრის რაიონის კუბებევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის და 0,5 ჰექტარ ფართობზე № 1857 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს ჰექტარზე 19,4 ცენტნერის ანგარიშით მოღებისათვის.

ჭიათურის მარგანეცის ჭრესმა ვადამდე შეასრულა რვა თვის გეგმა

ჭიათურა. (ტელეგრაფით საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტმა 23 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის გეგმა. კარგად იმუშავეს ლენინის, ბერიას და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა.

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 23 აგვისტოსათვის 105,1 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 22 აგვისტოსათვის 107,5 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

ახალი მოსავლის პურით დატვირთული ავტომობილები განუწყვეტლივ მოედინებიან მიმღები პუნქტებისაკენ. სურათზე ხილნალის რაიონის კოლმეურნეობები „ზაგოტზერნოს“ წნორის ბაზას პურს აბარებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

93. **ენდელაძე** მიხეილ სპირიდონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
94. **ენდელაძე** სიმონ სპირიდონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
95. **ენუქიძე** ვალერიან ეგნატეს-ძე — ამბროლაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
96. **ერაძე** ალექსანდრე დიმიტრის-ძე — ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.
97. **ერაძე** ივანე მალაქიას-ძე—ონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
98. **ერაძე** ივანე ნიკოლოზის-ძე — ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.
99. **ერაძე** ლავრენტი ესტატეს-ძე — ონის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
100. **ერაძე** ნესტორ გიორგის-ძე — ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.
101. **ჟვანია** ბიჭიკო ივანეს-ძე—მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
102. **ზარდიაშვილი** ვასილ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
103. **ზარნაძე** პარმენ სოლომონის-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ მერგოლური.
104. **ზიბზიბაძე** გიორგი თევდორეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
105. **ზირაქაძე** მერაბ აპოლონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
106. **ზირაქაშვილი** ვალია ისაკის ასული — კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
107. **ზირაქაშვილი** ივანე გიგოს-ძე—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.
108. **ზოიძე** სულეიმან ზუბის-ძე — ხულოს რაიონის ჟუკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
109. **ზოიძე** ესრეთალი თევრატის-ძე — ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
110. **ზოსიაშვილი** ვიქტორ რომანოზის-ძე — ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.
111. **იაგანაშვილი** ზაქარია ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
112. **იმერლიშვილი** იოსებ დიმიტრის-ძე — გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
113. **იოსებაშვილი** დავით ანდრიას-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
114. **ისიანი** სამსონ ალექსის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის შეგნების“ მერგოლური.
115. **კაველაშვილი** სპირიდონ ყარამანის-ძე — ჭიათურის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
116. **კაკაბაძე** გიორგი ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი.
117. **კაკალაშვილი** გიორგი გიგოს-ძე — გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
118. **კაკაურიძე** ივანე ნესტორის-ძე —ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
119. **კაკუშაძე** სამსონ ანთიმოზის-ძე — ტყიბულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
120. **კალანდაძე** ფარნაოზ გიორგის-ძე — ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნის“ წევრი.
121. **კალატოზიშვილი** ზაქარია დავითის-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
122. **კამლაძე** ეკატერინე თეიმურაზის ასული — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
123. **კამლაძე** თინა ირაკლის ასული — ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომი.
124. **კანკაძე** ოლღა პორფილეს ასული — ვანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
125. **კარაპეტოვი** შაქრო კარაპეტის-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
126 **კარდენახიშვილი** ზურაბ აკოფის-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
127. **კარჩხაძე** ალექსანდრე პორფილეს-ძე — ვანის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
128. **ქასრელიშვილი** გიორგი იასონის -ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
129. **ქათამაძე** კონსტანტინე ელიზბარის-ძე — ზესტაფონის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
130. **ქაჩლიშვილი** სიკო გრიგოლის-ძე — გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
131. **ყვავიაშვილი** სიმონ პიროს-ძე — გურჯაანის რაიონის ველისციხის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
132. **კვინიკაძე** იოსებ გიორგის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ წევრი.
133. **ქევხიშვილი** მიხეილ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
134. **ქევხიშვილი** საბა ნიკოლოზის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი.
135. **კელენჯერიძე** აკაკი ალმასხანის-ძე — ზესტაფონის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
136. **კელენჯერიძე** მელიტონ სპირიდონის-ძე — ვანის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
137. **კენკიშვილი** ილია გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
138. **კეჟერაშვილი** მიხეილ დავითის-ძე — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
139. **კერესელიძე** აპოლონ ალექსანდრეს-ძე — ამბროლაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
140. **კიკნაველიძე** ანტონ სამსონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნისაკენ“ წევრი.
141. **კილაძე** ნიკოლოზ ალექსის-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.
142. **კილაძე** ნიკოლოზ გიორგის-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.
143. **კირვალიძე** არჩილ ივანეს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედის“ წევრი.
144. **კირვალიძე** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედის“ წევრი.
145. **კირვალიძე** ილია საბას-ძე — გურჯაანის რაიონის კალაურის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
146. **კირვალიძე** შოთა ივანეს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი.
147. **კირკიტაძე** ამბროსი ნიკოლოზის-ძე — ზესტაფონის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
148. **კობახიძე** ალექსანდრე თევდორეს-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
149. **კობახიძე** ნიკოლოზ ეფრემის-ძე — ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი.
150. **კობახიძე** სევერიან იაკინთეს-ძე — პარტიის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე.
151. **ქოვთარია** ბენიამინ ვლადიმერის-ძე — ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი.
152. **კოპალიანი** ევგენი ანტონის-ძე — ცაგერის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
153. **ქოროღლიშვილი** იოსებ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
154. **ქოროღლიშვილი** იოსებ ზაქარიას-ძე — გურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
155. **ქოროღლიშვილი** სოლომონ ლევანის-ძე — გურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
156. **კოჭაძე** ვარლამ ვახტანგის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „ჩვენი ძალის“ წევრი.
157. **კოჭაშვილი** აბრამ ალექსის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გუთნის“ მერგოლური.
158. **ყურაშვილი** მარიამ ბაგრატის ასული — ცაგერის რაიონის ოყურეშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.
159. **კუპრაშვილი** ივანე თევდორეს-ძე — გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
160. **კუტაშვილი** ნასყიდ ზაქარიას-ძე — ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი.
161. **ლაზოშვილი** სონა სერგის ასული — კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
162. **ლაჭყეპიანი** პელაგია ვასილის ასული — ცაგერის რაიონის ტვიშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.
163. **ლეჟავა** თენგიზ სერგის-ძე — ზესტაფონის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
164. **ლეშკაშელი** ვარლამ ივანეს-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრი.
165. **ლილუაშვილი** ილია სიკოს-ძე — ვანის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
166. **ლომიძე** გერასიმე გარსევანის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
167. **ლომიძე** იოსებ ნიკოლოზის-ძე ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
168. **ლომიძე** ნიკოლოზ სისოს-ძე—ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
169. **ლომიძე** პარმენ ნიკოლოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
170. **ლომიძე** სანდრო არსენის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
171. **ლომიძე** ტერეზა მიხეილის ასული — წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
172. **ლომინაშვილი** მელენტი ნიკოლოზის-ძე — ზესტაფონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
173. **ლომინაშვილი** ვაჟა გიორგის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
174. **ლურსმანაშვილი** გიორგი ასლანის-ძე — ზესტაფონის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
175. **მაღლაკელიძე** ევგენი ნიკოლოზის-ძე — ზესტაფონის რაიონის სვირის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
176. **მაზანაშვილი** ილია ლევანის-ძე — გურჯაანის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
177. **მაისურაძე** დუშიკო მიხეილის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
178. **მამულაშვილი** სიმონ კირილეს-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი.
179. **მარუაშვილი** პროკლე ივანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
180. **მანიჟაშვილი** არსენ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
181. **მანიჟაშვილი** იოსებ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
182. **მანთაშევი** ალექსანდრე გეურქის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ წევრი.
183. **მანთაშევი** სერო გეურქის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ წევრი.
184. **მათიაშვილი** ილია ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
185. **მახარობლიძე** გრიგოლ ივანეს-ძე — ცაგერის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
186. **მახარობლიძე** სანდრო ადოლს-ძე — ცაგერის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
187. **მახათაძე** ლუკა ოქრუას-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრი.
188. **მაჭავარიანი** ბენო კონსტანტინეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომი.
189. **მაჭავარიანი** შალვა ვლადიმერის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ობჩის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
190. **მაჩიტაძე** ვლადიმერ ილიას-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის ხაზით“ წევრი.
191. **მაჩიტაძე** ბუგუ პიმენის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
192. **მგელაძე** კედირ მევლუდის-ძე — ქედის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.
193. **მენაბდიშვილი** იოსებ ზაქარიას-ძე — გურჯაანის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
194. **მეფარიშვილი** სერაფიონ ნესტორის-ძე — ვანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ №№ 162, 163, 164, 165, 166, 167, 168.

ბოლშევიკური გულისხმიერების შესახებ

სოციალისტურმა წყობილებამ ყველა პირობა შექმნა მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის უმაგალითო განვითარებისათვის, დარაზმა ხალხის უფართოესი მასები შეგნებული, ისტორიული შემოქმედებისათვის.

საბჭოთა ადამიანმა კომუნისტური აღზრდის დიადი სკოლა გაიარა. იგი თავისი იდეური დონით, თავისი მორალური სახით კაპიტალისტური საზოგადოების ადამიანებზე განუზომლად უფრო მაღლა დგას. ლენინ-სტალინის პარტიამ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა მაღალი მორალური თვისებანი: სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემა, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, ხალხისა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნება.

საბჭოთა სახელმწიფო რეალურად, ნამდვილად უზრუნველყოფს ყველა თავისი მოქალაქისათვის იმ უფლებათა სრულ განხორციელებას, რომლებიც მათ სტალინური კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ყველაზე დიდი საზრუნავია ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ყველაზე ძვირფას კაპიტალს წარმოადგენენ, და ადამიანისადმი ყურადღება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების კანონია.

ადამიანებისადმი გულისხმიერების გამოჩენა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ყური დაუგდო მასების ხმას, მზრუნველობით მოეკიდო ადამიანთა ბედს, ყოველი საშუალებით განავითარო მათი შემოქმედებითი ძალები და ინიციატივა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ და სასახელოდ. ყოველი პარტიული და საბჭოთა მუშაკი მთელ თავის საქმიანობაში მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ საჭიროა „გულისხმიერად დავუგდოთ ყური მასების ხმას, პარტიის რიგითი წევრების ხმას, ეგრეთ წოდებული „პატარა ადამიანების“ ხმას, ხალხის ხმას“.

საბჭოთა ადამიანი თავისი პრაქტიკული საქმიანობის ყოველ საკითხს უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით უდგება. ამას მოწმობს, კერძოდ, მშრომელთა ათასობით წერილი და სიგნალი, რომლებსაც ყოველდღიურად იღებენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, გაზეთები და ჟურნალები. მშრომელები თავიანთ წერილებში ამჟღავნებენ სამეურნეო ორგანოებისა და საბჭოთა აპარატის მუშაობის ამა თუ იმ ნაკლს, შეაქვთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისაკენ მიმართული წინადადებანი.

ჩვენი პარტია, ამხანაგი სტალინი ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციისაგან მოითხოვენ უდიდესი ყურადღებით მოეკიდონ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, გვასწავლიან მივიჩნიოთ ეს წერილები და სიგნალები არა მარტო პირად საჩივრებად, არამედ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს ინტერესებისათვის მშრომელთა ფართო მასების მზრუნველობის გამოვლინებად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი წერილი დაწერილია ცოცხალი ადამიანის მიერ, ჩვენი საერთო დიადი საქმის მონაწილის მიერ. ამას წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში „მშრომელთა წერილებზე გაზეთ „სოვეტსკაია სიბირის“ რედაქციის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა წერილების ნაკლებმნიშვნელოვან, მესამეხარისხოვან საქმედ მიჩნევა ნიშნავს გამოავლინო, რომ არ გესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ მასებთან ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებაში.

რიგითი ადამიანების წერილებისა და სიგნალებისადმი სწორი დამოკიდებულებისას ჩვენს ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ უფრო სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, დააყენონ და წარმატებით გადაჭრან სერიოზული სამეურნეო - პოლიტიკური საკითხები. საკავშირო კ. პ. (ბ) ივანოვოს საოლქო კომიტეტმა მიიღო წერილი ზღვისპირეთის მხარის „სუჩანუგოლის“ ტრესტის მუშაკებისაგან. ამ წერილით იუწყებოდნენ, რომ ივანოვოს ერთ-ერთი საფეიქრო ფაბრიკიდან მიღებულ ყოველ თოფ მანუფაქტურას რამდენიმე მეტრი ქსოვილი აკლდა. წერილის ავტორები თხოულობდნენ ფაბრიკაში წესრიგის დამყარებას. ეს წერილი განიხილეს საკავშირო კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, სოსნევის ფაბრიკის ყველა საამქროს საწარმოო თათბირებზე, რადგან პრეტენზიები წაყენებული იყო ამ ფაბრიკისადმი. ზღვისპირელთა წერილი გასცილდა კონკრეტული ფაქტის ფარგლებს და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა. ივანოვოს პარტიულმა ორგანიზაციამ მხედველობაში მიიღო სიგნალი და შეძლო გამოემჟღავნებინა და აღმოეფხვრა საფეიქრო საწარმოთა მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამწუხაროდ, დღემდე ზოგიერთ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს თავის მოვალეობად არ მიაჩნია ყური დაუგდოს მასების ხმას, და ბიუროკრატიულ, ქედმაღლურ დამოკიდებულებას იჩენს არა მარტო სიგნალებისა და წინადადებებისადმი, არამედ ადამიანთა ბედისადმიც.

ამას წინათ „პრავდაში“ გაკრიტიკებული იყო არასწორი პრაქტიკა საკავშირო კ. პ. (ბ) ქალაქ ნოვოსიბირსკის კიროვის რაიკომისა, რომელმაც პარტიულ კრებებზე დაუსწრებლობისა და საწევრო ანარიცხის გადაუხდელობისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხა ორი ახალგაზრდა კომუნისტი-სტახანოველი. თქმა არ უნდა, რომ ამ ახალგაზრდა კომუნისტებმა პასუხი უნდა აგონ პარტიული ორგანიზაციის წინაშე.

მაგრამ განა ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, რომლებშიც ისინი ირიცხებოდნენ? განა ფაქტი არ არის, რომ ამ ორგანიზაციებში ცუდად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, არასწორად უდგებიან კომუნისტებს? პარტიიდან გარიცხვა ხომ უკიდურესი ზომაა, რომელსაც მხოლოდ მას შემდეგ მიმართავენ, როცა ყველა დანარჩენი საშუალება ამოწურულია. განა პარტიიდან გარიცხვამდე არ შეიძლებოდა გაფრთხილება მიეცათ, ან, თუ ეს არ მოქმედებს, გამოსწორების ვადა მიეცათ?

ადამიანთა ბედისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება შეუწყნარებელია. საბჭოთა საზოგადოებრიობა მკვეთრად გმობს საბჭოთა ადამიანისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების ყოველ გამოვლინებას.

ამას წინათ „პრავდაში“ დაიბეჭდა ფელეტონი „ანა ვასილიევას „საქმე“. ფელეტონში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვის ერთ-ერთი პროფტექნიკური სკოლის დირექტორი ამხ. ვასილიევა თანამდებობიდან მოხსნეს და სახალხო სასამართლომ მას მსჯავრი დასდო ცილისმწამებელთა განცხადების მიხედვით. ბუნებრივია, რომ, როგორც პარტიის წევრმა, მან ითხოვა სამართლიანად გაერჩიათ მისი საქმე პარტიულ ორგანიზაციაში. მაგრამ ამხ. ვასილიევამ ვერ ჰპოვა გულისხმიერი პარტიული მოპყრობა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ უყურადღებოდ დატოვა კომუნისტის განცხადება, თავი არ შეიწუხა და ჯეროვნად არ გაერკვა საქმეში, არ მიიღო ზომები პარტიის წევრის რეაბილიტაციისა და სამუშაოზე მისი აღდგენისათვის. ახლა პატიოსანი საბჭოთა მუშაკისადმი არასწორ მოპყრობაში დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აღზარდონ ჩვენი კადრები ადამიანებისადმი, მათი ბედისადმი, მათი სიგნალებისადმი, მათი კრიტიკისა და წინადადებებისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ეს არის მშრომელთა ფართო მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება, პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი ქმედითი ბერკეტი.

არ შეიძლება დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ არ კმარა მარტო ხელმძღვანელთა გამოცდილება, რომ იგი უნდა შეავსოს პარტიული მასის გამოცდილებამ, მშრომელთა გამოცდილებამ, ეგრეთ წოდებულ „პატარა ადამიანთა“ გამოცდილებამ. ასეთი შევსება კი, რაც საარსებოდ მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენი საქმისათვის, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები უაღრესად მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი მასებთან — მუშათა კლასთან, გლეხობასთან, ინტელიგენციასთან, თუ ისინი ყურადღებითა და გულისხმიერად მოეკიდებიან იმ საკითხებს, რომლებსაც მშრომელები მათ წინაშე აყენებენ.

რაც უფრო მტკიცე იქნება ეს კავშირი, მით უფრო მაღალი იქნება მილიონობით საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობა და უფრო წარმატებით წავა წინ კომუნიზმის მშენებლობის ჩვენი დიადი საქმე.

„პრავდის“ 25/VIII მოწინავე

ა. ნ. რადიშჩევის დაბადების 200 წლისთავისათვის

ლენინგრადი, 24 აგვისტო. (საქტესი). დღეს სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიხსნა ა. ნ. რადიშჩევისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ექსპონატებს შორისაა დიდი რევოლუციონერი მწერლის ნაწარმოებთა პირველი გამოცემები. აქ არის ჟურნალ „ბესედუიუშჩი გრაჟდანინის“ 1789 წლის ეგზემპლარი რადიშჩევის სტატიით: „საუბარი იმის შესახებ, თუ რა არის მამულიშვილი“, თარგმანი მაბლის თხზულებისა „ფიქრები საბერძნეთის ისტორიაზე, ანუ ბერძნების კეთილდღეობისა და უბედურების მიზეზებზე“, აგრეთვე მწერლის შვილის მიერ გამოშვებული „განსვენებული ა. ნ. რადიშჩევის თხზულებათა კრებული“.

სპეციალური ვიტრინა მიძღვნილია ა. ნ. რადიშჩევის უკვდავი ნაწარმოებისადმი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“. იგი შეიცავს ამ წიგნის უნიკალურ ეგზემპლარებს, დაწყებული 1790 წლის მისი პირველი გამოცემით.

იშვიათ წიგნებს შორისაა ა. ნ. რადიშჩევის კონფისკებული და მოპარული თხზულებათა კრებული, ოდა „თავისუფლების“ ეგზემპლარი და სხვ.

ექსპოზიციის ცალკეული განყოფილებები ასახავენ რევოლუციონერი მწერლის ნაწარმოებების საბჭოთა გამოცემებს, ვრცელ ლიტერატურას მის შესახებ და სხვ.

გამოფენა შევსებულია მდიდარი დასურათებული მასალებით.

მინსკი, 24 აგვისტო. (საქტესი). დღეს ბელორუსიის სსრ ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი მწერლის ა. ნ. რადიშჩევის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მწერლის მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები. მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს გერცენის მიერ ლონდონში 1858 წელს გამოცემული წიგნი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“.

ა. ნ. რადიშჩევის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები მოწყობილია ბელორუსიის რაიონულ და სასოფლო ბიბლიოთეკებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური შეჯიბრება ქალაქ თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის

საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

სტალინის რაიონი

გუშინ მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოიწვია განყოფილებათა გამგეების, მუდმივი კომისიების თავჯდომარეების, გამგეობების ტრესტის, სარემონტო კანტორის, საბინაო სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, მიძღვნილი ლენინის რაიონულ საბჭოს მომართვიანდი, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ 24 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა.

საღამოს „დეპუტატის ოთახში“ თავი მოიყარეს დეპუტატებმა, ამომრჩევლებმა. მათ იმსჯელეს რაიონის კეთილმოწყობის მრავალ საკითხზე. რაიონული საბჭოს დეპუტატმა დ. გორგიაშვილმა განაცხადა:

— საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და თბილისის ბოლშევიკების XIX საქალაქო კონფერენციის დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას სიხარულით ვუჭერ მხარს. მე, როგორც კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ რაიონის კეთილმოწყობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდეს. შემდეგ დეპუტატმა დ. გორგიაშვილმა დააყენა საკითხი ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს საცხოვრებელი ბინების წინა ფასადის გადაკეთების შესახებ. დეპუტატმა დ. ნინუამ სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მუხლად დიდუბის სადგურთან მისასვლელი ქუჩების კეთილმოწყობის საკითხი წამოაყენა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი, დეპუტატები და აქტივი გაცხოველებით ემზადებიან სესიისათვის, რომელზეც განხილული იქნება სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხი.

26 კომისრის რაიონი

ლენინის რაიონული საბჭოს მიმართვა მოიწონეს 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თანამშრომლებმა, დეპუტატებმა და აქტივმა. გუშინ გაიმართა მუდმივი კომისიების თათბირები. კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა შეჯიბრების ერთ-ერთ მუხლად გაითვალისწინეს მოაასფალტონ ქუჩები გეგმით გათვალისწინებულ 13.000 კვადრატული მეტრის ნაცვლად 14.000 კვადრატული მეტრი, მოკირწყლონ 21.000 კვადრატული მეტრი ქუჩები და სხვ. სარემონტო კანტორის მუშაკებმა პირობა დაიდეს კონსტიტუციის დღისათვის შეასრულონ მიდღიანარე წლის გეგმები. სტახანოველთა დურგალმა ბ. მაჩაბლიშვილმა განაცხადა: — ჩვენ, ქალაქის მშენებლები, სპატიო უბანზე ვართ დაყენებული. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 200 პროცენტით შევასრულო.

დეპუტატებმა რაიონულ საბჭოში შეიტანეს კომკავშირის ქუჩაზე ახალი ხიდის გაკეთების, 26 კომისრის ბაღის შემოღობვის და სხვა წინადადებები.

Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

რუმინეთის განთავისუფლების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გუქარესტში 1949 წლის 22 აგვისტოს

ამხანაგებო, მეგობრებო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნო! მთავრობის, საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალებისა და პირადად ჩვენი ბრძენი ბელადის დიდი სტალინის სახელით მხურვალედ გილოცავთ ისტორიულ თარიღს — ნაცისტურ-გერმანული იმპერიალიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების ხუთი წლისთავს (**მჭუხარე ტაში, შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად**).

მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ დამპყრობლებზე სახელოვანი საბჭოთა არმიის გამარჯვებამ და 1944 წლის აგვისტოში გერმანელ ფაშისტთა ჯარების ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი დაჯგუფების — იასი-კიშინიოვის დაჯგუფების მრწყინვალე განადგურებამ შექმნეს ისეთი პირობები, რომლის დროსაც რუმინეთის დემოკრატიულ ძალებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უნარი აღმოაჩნდათ 1944 წლის 23 აგვისტოს მოესპოთ ანტონესკუს ფაშისტური დიქტატურა და გამოეყვანათ რუმინეთი დანაშაულებრივი ჰიტლერული კოალიციიდან. რუმინელი იარაღი მომართულ იქნა რუმინეთის ნამდვილი მტრის — ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ გერმანიის ფაშისტურ იმპერიალიზმზე რუმინეთის მშრომელთა წინაშე დასახა დემოკრატიული გარდაქმნის ფართო გზა, შემქნა ხელსაყრელი პირობები ახალი ნათელი ადამიანური ცხოვრებისათვის სპრძოლველად. რუმინელი ხალხის ამ ბრძოლას სათავეში ედგნენ რუმინეთის საუკეთესო შვილები — კომუნისტები, რომლებიც თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ ფაშისტური რეაქციის ყველაზე შავბნელ წლებში (**ხანგრძლივი ტაში**).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა და მთელმა რუმინელმა ხალხმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე განახორციელეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ისტორიული რეფორმები, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს რუმინეთის სახელმწიფოს ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური წყობილება. ბურჟუაზიულ-მემამულეური მონარქიიდან ყველა მისი საშინელი ატრიბუტით რუმინეთი გადაიქცა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად. რუმინეთის მშრომელებმა ჩაანგრიეს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა, გაანადგურეს რეაქციის ცდები — ხელი შეუშალა რუმინელი ხალხისათვის დასდგომოდა ერთადერთ სწორ გზას — თავის ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზას.

რუმინეთის მუშათა კლასი და მშრომელნი, როგორც სოციალიზმის მშენებლებს შეჰფერით, წარმატებით ირთმევენ თავს რუმინეთის ეკონომიური აღდგენის ამოცანებს, და უკვე 1948 წელს მისმა მრეწველობამ გადააჭარბა ომამდელ დონეს. წელს რუმინეთის ეკონომიკის განვითარება პირველად ხდება ერთიანი სახალხო სამეურნეო გეგმით. პირველი და მეორე კვარტალის შედეგები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ რუმინეთი ხალხის შრომითი ამაღლებისა, რუმინეთის მთავრობის სწორი ხელმძღვანელობისა და მუშათა პარტიის წარმატებით შესრულდება.

რუმინელი ხალხი მტკიცე საფუძველს უყრის თავისი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მის გადაქცევას ეკონომიურად მოწინავე სახელმწიფოდ ევროპაში.

ამ სოციალისტურ გარდაქმნაში განსაკუთრებით შესანიშნავი ის არის, რომ რუმინეთის შრომელი გლეხობა მტკიცედ დაადგა სოციალიზმის გზას, ერთპიროვნული მეურნეობებიდან საზოგადოებრივ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის გზას.

ამას მოწმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა და პირველი კოლექტიური მეურნეობების წარმოშობა, მიწის მშრომელთა სულიერი გადვიძება, მათი შეგნებული მხარდაჭერა მუშათა პარტიისა და მთავრობის საქმიანობისათვის ახალ სახალხო დემოკრატიულ რუმინეთში სოციალისტური მშენებლობის გასაჩაღებლად.

ასეთია მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის რუმინელი ხალხის ხუთი წლის ბრძოლის შედეგები.

მთელი ამ წლების მანძილზე საბჭოთა ხალხი და მისი დიდი ბელადი, თქვენი ყველაზე ერთგული მეგობარი ამხანაგი სტალინი (**მჭუხარე ტაში, დამსწრენი ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად**) დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს რუმინელი ხალხის ღონისძიებებს ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში და მუდამ უწევდნენ მას მორალურ და მატერიალურ დახმარებას. ეს დახმარება მოწმობს ძმურ გრძნობებს, რომლებითაც გამსჭვალულია დიდი საბჭოთა ხალხი, მისი მთავრობა და გენიალური სტალინი მეგობრული რუმინელი ხალხისადმი.

ჩვენი ხალხების მეგობრობას მტკიცე საფუძველი აქვს. იგი თავისი ფესვებით მიდის შორეულ ისტორიულ წარსულში. იგი განმანვლია ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილების საერთო კეთილშობილური სისხლით მოძალადეთა და დამშრობელთა წინააღმდეგ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ ჩვენი შორეული წინაპრები ერთად ებრძოდნენ თურქი იანიჩრებისა და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

რუსი და რუმინელი ხალხების ეს დიდი ხნის იარაღის მეგობრობა დანაშაულებრივად იქნა დარღვეული პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მონარქისტული რუმინეთის მაშინდელი მმართველების მიერ, რომლებიც მონურად უჭერდნენ მხარს ინგლისელ, ამერიკელ და ფრანგ იმპერიალისტთა ანტისაბჭოთა პოლიტიკას. იმავე ბეცმა და ავაზაკმა პოლიტიკოსებმა ჩააბეს რუმინელი ხალხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ნაცისტური გერმანიის მხარეზე.

მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენმა ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდმა სტალინმა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ხელოვნურად აგებული გათიშვის კედელი აუცილებლად დაინგრეოდა და მაშინ საბჭოთა ადამიანი ხელს ჩამოართმევდა თავის ძველ მეგობარსა და ამხანაგს — მშრომელ რუმინელს.

ჩვენ არ შეეშალეთ. ანტონესკუს დიქტატურის დამხობის შემდეგ 1944 წლის შემოდგომის დიოსსასხსოვარ დღეებში რუმინელმა ჯარისკაცებმა მტკიცედ მიაბრუნეს თავიანთი იარაღი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჩვენი ხალხების ძველი მეგობრობა აღდგენილ იქნა ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ტრის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში. ამ მომენტიდან რუმინეთის არმია უკვე აქტიურად მონაწილეობდა ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხების საერთო ბრძოლაში. საერთო ტრის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლების ცეცხლში არა მარტო განახლდა ტრადიციული მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, არამედ მას მიეცა ახალი პოლიტიკური და სოციალური საფუძველი. ეს საფუძველია სოციალიზმის მშენებლობა და ამ დიდ საქმეში რუმინეთის ხალხისათვის საბჭოთა კავშირის უანგარო, ყოველმხრივი ძმური დახმარება.

ამ წლების მანძილზე განუხრელად იზრდებოდა და მტკიცდებოდა მეგობრობა და ძმობა ჩვენს ხალხებს შორის, დამყარდა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მშიერი თანამშრომლობა სანგარო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჩვენს სახელმწიფოებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებაში. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობა გამოვლინდა ყველა ურთიერთ დახმარების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ერთობლივი მონაწილეობით, ჩვენს ქვეყნებს შორის ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ეკონომიური შეთანხმებების დადებით, კერძოდ, რუმინეთი სსრ კავშირიდან იღებს ნედლეულსა და სამრეწველო მოწყობილობას, რაც რუმინეთის მრეწველობისათვის უზრუნველყოფს სრული სიმძლავრით მუშაობას.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან რუმინელი ხალხის მჭიდრო მეგობრობა და ძმობა არ მოეწონათ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებს. მათთვის ხელმისაწვდომი ყველა „ცივი“ საშუალებით ცდილობენ ისინი შეაფერხონ ახალი სოციალისტური საზოგადოების შენებლობა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა ოჯახში.

ეკონომიური ბოიკოტი, შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკა, პროვოკაცია და ომის ისტერია, განსაკუთრებით ომის ისტერია, ყველაფერი ამოქმედდა საერთაშორისო იმპერიალიზმმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ამაოა იმპერიალიტ მტაცებელთა ცდა, რომ „მარშალის გეგმით“, ატლანტიკისა და სხვა პაქტებითა და სამხედრო კავშირებით შეაჩერონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, მათ შორის რუმინეთის ხალხის წინსვლა ახალი, ნათელი, ბედნიერი ცხოვრებისა და სოციალიზმისაკენ. ეს ცდა განწირულია ჩასაფეთქავად. (**ტაში**).

ამის საწინდარია დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებთან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი ძმობა, რაც ემყარება სრული თანასწორობის, ურთიერთ პატივისცემისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპებს. ამ მეგობრობის წყაროა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის დიადი მიზნები. იგი ემყარება მტკიცე მეცნიერულ საფუძვლებს, რომლებიც შეაქმნეს დიდმა მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, სტალინმა და მას ფარავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წმიელი დროშა, და სანამ ჩვენ ამ დროშის ერთგულნი ვიქნებით, ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი სიძნელე და მუქარა (**მჭუხარე ტაში**).

იუგოსლავიის ახალგაზელი მმართველები, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან კაპიტალიზმისა და რეაქციის ბანაკში ამ გადაბარგებულთა უბადრუკი ბედი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ გარდუვალად რა მოსდევს ძმური ქვეყნებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ღალატს. სოციალიზმის საქმეს ეს მოღალატეები თავიანთ ქვეყანაში აღადგენენ კაპიტალისტურ წესებს, სპობენ იუგოსლავიელი ხალხის დემოკრატიულ მონაპოვარს და იუგოსლავიაში ამყარებენ სისხლიან ფაშისტურ რეჟიმს. მოუსპეს რა თავიანთ თავს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძმური მორალური, პოლიტიკური და ეკონომიური დახმარება, იუგოსლავიის მმართველებმა შეგნებულად მოაქცევეს ჩიხში თავიანთ ქვეყნის ეკონომიკა და ამით თავიანთ ხალხს წინასწარ განუმზადეს ადგილი გაცოფებული იმპერიალისტური კაპიტალის ბანაკში.

დაიწყეს რა საბჭოთა კავშირთან ლოიალურ თანამშრომლობაზე უარით და იმპერიალისტებთან საიდუმლო გარიგებებით, იუგოსლავიის მმართველები გადაიქცნენ საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი ანტიიმპერიალისტური ბანაკის აშკარა გამორატებულ მტრებად.

მაგრამ ველური ძალადობა და ტერორი ტიტოს დანაშაულებრივი ხროვისა, რომელიც მზად არის წელებზე ფეხი დაიდგას, რათა ფულსტრიტელი მაკარი ბატონების ღიმილი დაიმასხოროს, ვერ მოატყუებს პატიოსან იუგოსლავიელ ხალხს. იუგოსლავიის ხალხმა კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მთელი მძლავრი ანტიიმპერიალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით, წარმოადგენენ იმ მძლავრ ძალას, რომელსაც ერთადერთის შესწევს უნარი წინააღუდგეს რეაჟიცის მთელ ბნელ ძალებსა და ახალი ომის გამჩაღებლებს (**შეძახილები ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. ხანგრძლივი ტაში**).

მხოლოდ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს საბჭოთა კავშირის მეთაურობით შეუძლია დაიცვას ხალხები, მათ შორის იუგოსლავიაც, შავბნელი აგრესიული იმპერიალისტური ძალებისაგან, რომლებსაც მსოფლიოსათვის მოაქვთ ახალი ომი და ქაოსი (**მჭუხარე ტაში**).

ჯერ კიდევ 22 წლის წინათ ამხანაგი სტალინი წინასწარმეტყველურად გვაფრთხილებდა, თუ რა სამიშროებას უქმნიან თავიანთ თავს ის ვაი-„სოციალისტები“, რომლებიც ფარულად ან აშკარად გამოდიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აწყობენ მის წინააღმდეგ ბორკტ ხრიკებს. იგი ამბობდა: „**რევოლუციონერი**. ის არის, ვინც უყოყმანოდ, უეჭველად, აშკარად და პატიოსნად, ფარული სამხედრო თათბირების გარეშე, მზად არის დაიცვას სსრ კავშირი, ვინაიდან სსრ კავშირი არის მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციური სახელმწიფო, რომელიც სოციალიზმს აშენებს. **ინტერნაციონალისტი** ის არის, ვინც უყოყმანოდ, მერყეობის გარეშე, პირობების წამოუყენებლად მზად არის დაიცვას სსრ კავშირი იმიტომ, რომ სსრ კავშირი არის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა, ხოლო ამ რევოლუციური მოძრაობის დაცვა, წინწაწევა შეუძლებელია სსრ კავშირის დაუცველად. ვინაიდან ვინც ფიქრობს დაიცვას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა სსრ კავშირის გვერდის აცლითა და მის წინააღმდეგ, იგი მიდის რევოლუციის წინააღმდეგ, იგი აუცილებლად მოიქცევა რევოლუციის მტრების ბანაკში“.

დიდი სტალინის ამ მითითებას, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირთან ყველა სოციალისტური და დემოკრატიული ძალების პროლეტარული სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ პირობებში, როცა მთელი მსოფლიო გაითიშა ორ ბანაკად — ერთი მხრივ, იმპერიალიზმისა და ომის ბანაკად, და, მეორე მხრივ, სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკად. თვითეული სოციალისტისა და თვითეული დემოკრატის მოვალეობაა განამტკიცოს სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. თვითეული სოციალისტისა და ნამდვილი დემოკრატის მოვალეობაა საბჭოთა კავშირთან ძმური ურთიერთობის და დიდ საბჭოთა კავშირთან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურღვევი მჭიდრო და მუდმივი მეგობრობის განმტკიცება.

რუმინელი ხალხი თავისი ბელადების ხელმძღვანელობით მიდის რუმინეთისა, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის მეგობრობისა და ურთიერთ დახმარების, ძმური კავშირის განმტკიცების ამ ერთადერთი სწორი გზით (**მჭუხარე ტაში**). ამ პოლიტიკისადმი ერთგულება წარმოადგენს დემოკრატიულ მონაპოვართა ურყევობის საწინდარს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, სოციალიზმის მშენებლობაში განუწყვეტელი წარმატებების, სახელოვანი რუმინელი ხალხის ბედნიერი მომავლის საწინდარს (**მჭუხარე ტაში**).

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკი, რომელსაც მძლავრი საბჭოთა კავშირი მეთაურობს! (**მთელი დარბაზის მჭუხარე ოვაცია**).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურღვევ შეკრულობას! (**მჭუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან**).

გაუმარჯოს მომძე რუმინელ ხალხს, რომელიც მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი ცენტრალური კომიტეტისა და გენერალური მდივნის გეორგიუ-დეჟის მეთაურობით მტკიცედ მიდის წინ, სოციალიზმისაკენ! (**მჭუხარე ტაში**).

გაუმარჯოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას პეტრუ გროზას მეთაურობით! (**მჭუხარე ტაში**).

გაუმარჯოს მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, რუმინელი ხალხისა და მსოფლიოს ყველა მშრომელთა მეგობარს, დიდ სტალინს! (**მჭუხარე ტაში, დამსწრენი ოვაციას მართავენ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობას! დიდება დიდ სტალინს! გაუმარჯოს ამხანაგ ვოროშილოვს!“**).

(საკვლესი)!

მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის

★ ★

ეუფლებიან ჰიდრავლიკური ვსების მეთოდს

აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ტყიბულში დაწინაურდა და ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო გეგმას გადაჭარბებით ანაღდებს გელთოს შახტი.

სტალინის სახელობის შახტში საფუძვლიანად ეუფლებიან ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ამოღებას, რაც რენტაბელური და უსაფრთხოა. აგვისტოს პირველ დეკადაში ამ ახალი მეთოდით მუშაობა დაიწყო ინჟინერ გ. გორგაძის უბანმა. ამჟამად შახტში ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით სამი უბანი მუშაობს.

ლენინის სახელობის შახტში განუხრელად იზრდება სტახანოველთა რიგები. ბევრმა მათგანმა უკვე შეასრულა წლიური გეგმა. მეშახტეთა შორის პირველი ადგილზეა კომკავშირელი მგზრეველი ვლ. ცინაძე, რომელმაც მიმდინარე წლის 7 თვეში წლიური გეგმის გადაჭარბებით მოანგრია 300 ტონაზე მეტი ქვანახშირი. მისი გამოშუშვება 7 თვის განმავლობაში 22 ათას მანეთს აღემატება.

აგვისტოს პირველ ოც დღეში თვიური ნორმები შეასრულეს მნგრეველებმა აკ. ჭანკვეტაძემ, გ. გოდერიძემ, ნ. კუპრაშვილმა, მთხრელებმა ა. ვარდოსანიძემ, ლ. სისხოკოვმა, მტვირთავმა ნ. ალავიძემ და სხვებმა.

მეშახტის დღისათვის მზადებას შეუდგნენ შახტებთან არსებული კლუბები და მხატვრული თვითმოქმედი წრეები. ამას წინათ ლენინის სახელობის შახტის კლუბის გამგეობამ შახტის პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყო სპატიო მეშახტის, ორდენოსანი მნგრეველის, ქალაქის საბჭოს დეპუტატის ს. გვენეტაძის შეხვედრა ახალგაზრდა მეშახტეებთან.

მეშახტეთა შორის დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პარტაბინეტის ძალებით ჩატარებული ლექციები თემებზე — „ძველი და ახალი ტყიბული“ და „ტყიბული ახალ სტალინურ ხუთწლეულში“.

ვ. ცირეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

№ 1 შახტის კოლექტივმა აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა. ამ შახტში დაწინაურდნენ ის ცვლები, რომლებსაც ა. პოვოვალენკო, ტ. არსენიძე და ფ. სტოლიაროვი ხელმძღვანელობენ. თავი ისახელეს ქვანახშირის ცნობილმა მნგრეველებმა ი. ბუკოვმა, ვ. კირსანოვმა, გ. ქიმერიძემ, ს. ქეიანმა, თ. ფშენჩიუკმა და სხვებმა. ივანე ბუკოვმა წლიური გეგმა პირველ აგვისტოსათვის შეასრულა და ახლა ქვანახშირის 1950 წლის ანგარიშში იძლევა. დანარჩენებმა 8 თვის გეგმა 7 თვეში შეასრულეს. ახლა ისინი ყოველდღიურ დავალებებს 130-150 პროცენტით ანაღდებენ.

№ 2 შახტში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მოწინავე მნგრეველები ი. ოგითხანიანი, ა. ულუაია და გ. მათეოსიანი, რომლებმაც 7 თვეში 8 თვის გეგმა გაანაღდეს და აგვისტოს განელილ პერიოდში ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ.

№ 3 შახტში გამოირჩევა მთხრელთა ის ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი გ. მირზოიანი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ივლისის გეგმა 140 პროცენტით შეასრულა. უკეთეს შედეგს აღწევს ბრიგადა აგვისტში. თვით ბრიგადირმა გ. მირზოიანმა და სტახანოველმა მთხრელებმა ვ. სიმონიანმა, ა. ქიმერიძემ, ქ. გრიგორიანმა, ა. ავეტიანმა აგვისტოს პირველი ნახევრის საწარმოო დავალებები 160 პროცენტით გაანაღდეს. ამავე შახტში გეგმას სისტემატურად 250 პროცენტით ასრულებს ა. დავრიშეკის დურგალთა ბრიგადა.

ნ. ფარეზანაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

წყალთა მეურნეობის ძირითად სამუშაოთა შესრულება

(საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 20 აგვისტოს ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით					
	მიწის სამუშაოები		ბეტონის და ქვის სამუშაოები		ინერტულ მასალათა დამზადება	
	წლის მეორე კვარტალი	აგვისტო	წლის მეორე ნახევარი	აგვისტო	წლის მეორე ნახევარ	აგვისტო
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	18,0	81,3	1,2	3,8	3,8	7,5
სიღნაღი	28,4	94,5	39,3	22,5	—	—
გურჯაანი	74,8	138,5	5,3	2,5	1,0	—
თელავი	25,0	35,7	—	—	—	—
წითელწყაროი	24,5	28,8	95,0	190,0	—	—
გორი	5,5	19,3	14,9	13,7	24,1	47,0
ჭარელი	8,4	2,6	5,6	10,7	11,8	18,9
ჭიათურა	100,0	—	100,0	—	100,0	—
ზესტაფონი	53,2	16,9	52,0	8,0	45,7	—
მაიაკოვსკი	100,0	—	100,0	—	86,0	—
ქასპი	0,6	0,3	—	—	—	—
დუშეთი	—	—	—	—	—	—
გაგრა	28,0	21,7	—	—	—	—
ახალციხე	15,7	12,4	—	—	—	—
ადიგენი	—	—	—	—	—	—
ბოლნისი	—	—	—	—	—	—
ყვარელი	50,0	87,2	32,3	76,5	10,4	23,2

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲨᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 24 აგვისტო. (საკვლესი). დღეს საღამოს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის თავჯდომარემ საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ი. ქავთარაძემ დარბაზობა გაამართეს საბჭოთა საელჩოში.

დარბაზობას დაესწრნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ვიცე-თავჯდომარეები პროფესორი პ. კონსტანტინესკუ-იაში და ლ. კიშინოვსკია, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე გეორგიუ-დეჟი, ანა პაუკერი, ვასილეა და რუმინეთის მთავრობის სხვა წევრები, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კიშინოვსკი, ბრლიუსის ენერგეტიკული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ბოგდანი, შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარე გეორგე პაოსტოლი, რუმინეთის არმიის გენერლები და სხვა პირნი.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციათა წევრები, აგრეთვე ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ელჩები და ალბანეთის სამქმეთა რწმუნებული.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 24 აგვისტო. (საკვლესი). გუშინ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა დარბაზობა, რომელიც გამართეს რუმინეთის მინისტრთა საბჭომ და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჰიტლერელთა უღლისაგან საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლებისა და ანტონესკუს ფაშისტური რეჟიმის დამხობის მე-5 წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გეორგიუ-დეჟი და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები. დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის თანამრობის დელეგაცია დელეგაციის ხელმძღვანელ საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, ქალაქ ბუქარესტის საწარმოთა მოწინავე მუშები, მრავალი სტუმარი, რუმინეთი და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის პასუხზე იუგოსლავიის მთავრობისადმი

პოლონეთი

ვარშავა, 23 აგვისტო. (საქდესი). პოლონური გაზეთები განაგრძობენ იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის კომენტირებას.

გაზეთი „პოლსკა ზბროინა" მოწინავე სტატიაში სათაურით „ტიტოელ რენეგატთა ნამდვილი სახე" წერს, რომ ბელგრადის მთავრობის საქციელმა საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციის გამოქვეყნების შემდეგ ცხადყო რეზოლუციის დასკვნების სისწორე. თანდათანობით, ფაქტებით აშკარავდებოდა მთელი მსოფლიოს თვალწინ ტიტოელი რენეგატების მთელი ღალატი დემოკრატიისა და მშვიდობის საერთაშორისო ბანაკისადმი, იუგოსლავიის ხალხებისადმი.

საბჭოთა კავშირის ნოტა, წერს გაზეთი, ააშკარავებს ტიტო-რანკოვიჩის რეჟიმის ანტისაბჭოთა მოქმედების კიდევ ერთ მხარეს. საბჭოთა მოქალაქეებისადმი უხეში, მხეცური მოპყრობა, მათი დევნა და წამება ბელგრადის პოლიციის საპატიმროებში იმ სამარცხვინო დევნის განგრძობაა, რასაც განიცდიან იუგოსლაველები, რომლებმაც გაბედეს სიმპათია გამოეცხადებინათ საბჭოთა კავშირის ან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. გასულ თვეებში ტიტოვიზმმა თვითონ გამოიაშკარავა თავი, ხოლო ორმა საბჭოთა უკანასკნელმა ნოტამ გააშუქა ტიტოს რეჟიმის ფარული მოლაპარაკება იმპერიალისტებთან და დღევანდელ იუგოსლავიაში გამეფებული ტერორი.

როგორია ტიტოელ რენეგატთა ნამდვილი სახე?—კითხულობს გაზეთი. ყველაზე უკეთ და მკაფიოდ ამას ააშკარავებს ბელგრადის მთავრობის მოქმედება, ხოლო ეს მოქმედება შეიძლება მოკლედ ასე დახასიათდეს: სიძულვილი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი, სიძულვილი ყოველივე იმისადმი, რასაც თუნდაც რაიმე საერთო აქვს სოციალიზმთან, და ერთგულად შესრულება ვაშინგტონიდან მიღებული ბრძანებებისა, ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შეეფერება ვაშინგტონის ინტერესებს, იუგოსლავიის ხალხთა საარსებო ინტერესების საწინააღმდეგოდ.

იუგოსლავიის ეკონომიური ცხოვრებისადმი კონტროლი სულ უფრო აშკარად გადადის უცხოეთის კაპიტალის ხელში. ნაცვლად „სათანადო გარანტიებისა", რომლებიც ნიშნავენ სახელმწიფო სუვერენობაზე უარის თქმას და იუგოსლავიის გადასვლას ვაშინგტონის ვასალთა ბანაკში, ამერიკელი მონოპოლისტები დღეს ტიტოს მთავრობას დოლარებს უწყალობებენ.

ტიტოს მთავრობამ დაღუპა გმირული საქმე იუგოსლავიის ხალხებისა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით თავისი ქვეყანა გაათავისუფლეს ჰიტლერული მონობისაგან და დაამყარეს სახალხო დემოკრატიის წყობილება. დღეს აღარ შეიძლება ლაპარაკი სახალხო დემოკრატიის წყობილებაზე და დემოკრატიის ნასახზეც კი იუგოსლავიაში. ტიტოს მთავრობის ხელში იუგოსლავია გადაიქცა პოლიციურ ქვეყნად, სადაც დემოკრატები განიცდიან ტერორსა და დევნას, სადაც ამერიკელი იმპერიალისტები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

ტიტოს მთავრობა ათენის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმის გეგმების მეორე შემსრულებელი გახდა. დღეს არავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ბელგრადელი რენეგატები მჭიდროდ თანამშრომლობენ ბერძენ ფაშისტებთან, ავსტრიელ ნეოჰიტლერელებთან და დოლარის მსახურებთან რომში.

ცხოვრების ყოველ დარგში, განაგრძობს გაზეთი, აღინიშნება ტიტოს მთავრობის მჭიდრო თანამშრომლობა მარშალიზებულ სახელმწიფოთა მთავრობებთან.

იუგოსლაველ რენეგატთა გამცემლობის მკაფიო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ამას წინათ ამერიკის იმპერიალიზმის ბაზასთან — დასავლეთ გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად იუგოსლავიის მთავრობა დასავლეთ გერმანიას მიაწოდებს ყველა იმ საქონელს, რის მიწოდებაზეც უარი უთხრა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს.

დღითიდღე იზრდება და ძლიერდება პოლიციის ტერორი იუგოსლავიაში. ეს მოწმობს იმ მოძრაობის უფრო და უფრო გაფართოებასა და გაძლიერებას, რაც იზრდება იუგოსლაველთა მასებში, რომლებიც ტიტოს მთავრობამ მონებად მიჰყიდა იმპერიალიზმს.

იუგოსლავიის ხალხებს, წერს დასასრულ გაზეთი, არ დავიწყებიათ და არასოდეს არ დაავიწყდებათ, თუ რაოდენ დიდად უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის გმირულ ბრძოლასა და ნამდვილ მეგობრულ დახმარებას, და იუგოსლავიის ხალხები, ეჭვი არ არის, შეძლებენ ბოლო მოუღონ ტიტოელი რენეგატების ანტისაბჭოთა პროიმპერიალისტურ პოლიტიკას, რაც მათს ნებას ეწინააღმდეგება.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 22 აგვისტო. (საქდესი). უნგრეთის საზოგადოებრიობა კვლავ მთავარ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებათა გამო იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხს.

დღეს დილით გამოსულმა გაზეთებმა „კიშ უიშაგმა", „ვილაგოშაგმა" და სხვ. გამოაქვეყნეს საბჭოთა მთავრობის პასუხის სრული ტექსტი. გაზეთები პასუხის ტექსტს ასეთ სათაურებს უკეთებენ:

„ენერგიული საბჭოთა ნოტა ტიტოს მთავრობისადმი საბჭოთა მოქალაქეების დევნის გამო" („კიშ უიშაგი"). „საბჭოთა ნოტა ადასტურებს ტიტოს ხროვის აღვირახსნილი ფაშისტური ძალადობის ფაქტებს" („ვილაგოშაგი"). გაზეთი „ვილაგოშაგი" განსაკუთრებით გამოჰყოფს შემდეგ ფრაზას საბჭოთა ნოტის ტექსტიდან: „საბჭოთა მთავრობა... იძულებული იქნება მიმართოს სხვა, უფრო ნამდვილ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაიცვას იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და ინტერესები".

„ვილაგოშაგი" თავის საერთაშორისო მიმოხილვაში წერს: „საბჭოთა კავშირის ნოტა, რომელიც იუგოსლავიის მთავრობას გაეგზავნა საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით, თავისი მნიშვნელობით დიდად სჭარბობს მსოფლიო პოლიტიკის ყველა უკანასკნელ მოვლენას. ნოტა ააშკარავებს ტიტოს ბანდის გამცემლური ანტისაბჭოთა საქციელის ერთ-ერთ მხარეს".

ბუდაპეშტი, 23 აგვისტო. (საქდესი). ყველა დღევანდელი დილის ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხის სრულ ტექსტს. გაზეთები საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტას მოწინავე და სარედაქციო სტატიებს უძღვნიან.

„საბად ნეპი" მოწინავე სტატიაში წერს: „ტიტოს ფაშისტური ხროვის მხეცურმა მეთოდებმა და რანკოვიჩის სისხლისმღვრელმა გესტაპოურმა ტერორმა, რაც ნოტამ გამოააშკარავა, უნგრეთის საზოგადოებრივი აზრის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ჩვენმა ხალხმა 25 წლის განმავლობაში თავის თავზე გამოსცადა საზიზღარი, ტიტოს ტერორისებური ფაშისტური ტერორის მთელი საშინელება. ამ სისხლისმღვრელი საშინელი რეჟიმისაგან გვიხსნა გმირმა განმათავისუფლებელმა—საბჭოთა კავშირმა, რომლის მოქალაქეებსაც ამჟამად საპატიმროში სვამს და აწამებს იუგოსლაველ ფაშისტ მკვლელთა დანაშაულებრივი ხროვა. ჩვენი გულის ყოველი მოძრაობით ვართ დევნილ იუგოსლაველ პატრიოტებთან, დაპატიმრებულ და ნაწამებ საბჭოთა ადამიანებთან. იუგოსლაველ ფაშისტთა ახალი გამძლავნებული მხეცობა უფრო აძლიერებს ჩვენს სიძულვილს ამ ფაშისტი მმართველებისადმი".

ტიტოს ტერორი, წერს დასასრულ გაზეთი, იუგოსლავიის „საშინაო საქმე" როდია, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საპატიმროებში ჩასმა „საშინაო საქმე" როდია. საბჭოთა კავშირი ფაშიზმის წინააღმდეგ უძლეველი და მრისხანე მებრძოლია. სსრ კავშირის წინააღმდეგ დაწყებული ბინძური ცილისმწამებლური ლაშქრობა, მის მოქალაქეთა დაპატიმრება, ფაშისტური პროვოკაციები წარმოადგენენ იუგოსლაველ ფაშისტთა ხელყოფას ადამიანის თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, მშვიდობისმოყვარე ხალხთა ფრონტის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოხატა ინტერესები ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა და, პირველ რიგში, მილიონობით იუგოსლაველი მშრომელისა, რომლებიც სასტიკ ჩაგვრას განიცდიან, როცა საბჭოთა მოქალაქეების უკანონო დაპატიმრებასთან და მათზე თავდასხმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და იძულებული იქნება მიმართოს სხვა, უფრო ნამდვილ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაიცვას იუგოსლავიაში საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და ინტერესები და წესრიგისაკენ მოუწოდოს თავხედ ფაშისტ მოძალადეებს".

„საბჭოთა კავშირის მთავრობის საპასუხო ნოტა,—წერს „ნეპსავა", — ულმობლად ააშკარავებს ტიტოს ხროვის ფაშისტური მეთოდების ახალ დაწვრილებით ცნობებს, იუგოსლავიაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის ფაშიზაციის პროცესს". „შეუძლია თუ არა საბჭოთა კავშირს,—კითხულობს გაზეთი, — განხორციელებულ სოციალიზმის ბედნიერ სამშობლოს — მოითმინოს, რომ საზიზღარი მეკობრეები, რომელთაც ტიტო ხელმძღვანელობს, დაუსჯელად სდევნიდნენ იუგოსლავიაში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს, დაუსჯელად აწამებდნენ და საპყრობილეებში ათავსებდნენ მშვიდობიან საბჭოთა ადამიანებს. შეუძლია თუ არა საბჭოთა კავშირს, რომელმაც იუგოსლავიაც გაათავისუფლა გერმანელ-იტალიელთა ფაშისტური მონობისაგან, მოითმინოს, რომ ტიტოელები სულ უფრო მეტი მხეცობითა და ცინიზმით სდევნიდნენ ისეთ საბჭოთა მოქალაქეებს, რომელთაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, სდევნიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი გამოთქვამენ დემოკრატიულ შეხედულებებს და საბჭოთა და იუგოსლაველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის მომხრენი არიან?

ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ვერ მოითმენს ამ მხეცურ და ცინიკურ საქციელს. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ იუგოსლაველი პატრიოტები, კომუნისტები, რომლებიც აღზრდილი არიან ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აგრეთვე ვერ მოითმენენ ტიტოს საშინელ რეჟიმს, რომელიც მონოპოლისტური კაპიტალის სამსახურში იმყოფება. იუგოსლაველ ხელმძღვანელთა ხროვამ დაამტკიცა, რომ ბატონობისადმი შეუფერხებელ მისწრაფებაში მან კავშირი გაწყვიტა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებთან და სურს იუგოსლაველი მშრომელი ხალხი გამოსთიშოს მშვიდობისმოყვარე ხალხების ბანაკს.

საბჭოთა ნოტა სერიოზულ გაფრთხილებას აძლევს ბანდიტებს: კმარა ფაშისტური ძალადობა! და მსოფლიოს მთელი პროგრესული ხალხი, მილიონობით მშრომელი სრული ერთსულოვნებით ემხრობა საბჭოთა კავშირის ნოტას. კმარა ფაშისტური პროვოკაციები!".

თოთხმეტ თვეში, რამაც საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციის გამოქვეყნებიდან განვლო,— აღნიშნავს გაზეთი „საბად ნეპ", — ტიტომ და რენეგატთა მისმა ბანდამ გამცემლობის ჩვეულებრივი საზიზღარი გზა განვლეს. ტიტოს ხროვამ უღალატა თავის ხალხს იმიტომ, რომ ნაცვლად იმისა, რომ სოციალიზმის გზით წასულიყო, მან ისეთი რეჟიმი შემოიღო, რომელიც ემყარება მუშათა და ღარიბ გლეხთა ექსპლოატაციას, კაპიტალისტთა მხარდაჭერას. ტიტოს ხროვამ უღალატა მშვიდობის საერთაშორისო ბანაკის საქმეს იმიტომ, რომ უკვე 1947 წელს იგი საბჭოთა კავშირის ზურგსუკან უთანხმდებოდა იმპერიალისტებს, იმიტომ რომ 1948 წელს კავშირი გაწყვიტა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ვერაგულად ზურგში დანა ჩასცა თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძნებს, ხოლო 1949 წელს დოლარებად მიჰყიდა იმპერიალისტებს. ამით ტიტოს ხროვამ იკისრა უაღრესად საზიზღარი და საძულველი როლი, იგი გახდა იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი და მეხუთე კოლონა აღმოსავლეთ ევროპაში.

მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, ტიტოს ხროვა სულ უფრო გრძნობდა, რომ, რაც უფრო შორს მიდიოდა გამცემლობის გზით, მით უფრო ნაკლებ შეეძლო ჰქონოდა იუგოსლავიის ხალხთა მხარდაჭერის იმედი, და ამიტომ შემოიღო ისტორიაში უმაგალითო და აღვირახსნილი ტერორი. მან გაბედა იქამდე მისულიყო, რომ უკანონოდ, სრულიად უსაფუძვლოდ საპყრობილეებში ამწყვდევს და აწამებს არა მარტო იუგოსლაველ მოქალაქეებს, არამედ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებსაც. საბჭოთა მთავრობის ნოტაში მეტად მნიშვნელოვანია განცხადება, რომ გამცემლები დიდხანს ვერ იპარპაშებენ დაუსჯელად. საბჭოთა ნოტა სერიოზული, გამაფრთხილებელი კილოთი აცნობებს იუგოსლავიის მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობა „ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და იძულებული იქნება მიმართოს სხვა, უფრო ნამდვილ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაიცვას უფლებები და ინტერესები საბჭოთა მოქალაქეებისა იუგოსლავიაში და წესრიგისაკენ მოუწოდოს თავხედ ფაშისტ მოძალადეებს".

ამგვარადვე უკეთებენ კომენტარს საბჭოთა მთავრობის პასუხს სხვა დღევანდელი გაზეთებიც.

საფრანგეთი

პარიზი, 22 აგვისტო. (საქდესი). პარიზის ყველა დღევანდელი საღამოს გაზეთი ათავსებს ცნობას საბჭოთა მთავრობის მიერ 18 აგვისტოს იუგოსლავიის მთავრობისათვის გაგზავნილი ნოტის შესახებ და მის კომენტარებს.

გაზეთი „მონდი" აქვეყნებს თავისი ლონდონელი და ვაშინგტონელი კორესპონდენტების ცნობებს, საიდანაც ჩანს, რომ შეერთებული შტატები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ „ადრიატიკის ნაპირებისადმი".

გაზეთი „სე სუარი" დაწვრილებით ათავსებს საბჭოთა მთავრობის მიერ 18 აგვისტოს იუგოსლავიის მთავრობისათვის გაგზავნილი ნოტის შინაარსს სათაურით „ნოტა ააშკარავებს დევნას, რომლის მსხვერპლიც არიან საბჭოთა მოქალაქეები იუგოსლავიაში".

იმავე გაზეთში დაბეჭდილია ანდრე სტილის სტატია სათაურით „ტიტო უნიღბოდ". სტილს მოჰყავს დასავლეთთან ტიტოს გარიგების პერსპექტივების შესახებ გაზეთ „მონდში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცნობების ამონაწერები და წერს, რომ „გაზეთმა „მონდმა" უკვე დიდი ხანია იცოდა ყველა საიდუმლოება და იცოდა დაპირებანი, რომლებსაც იგი მისცემდა. ტიტოს ის დაემართა, რაც ყველა მის მსგავს ტიპს, რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის დროს ჰიტლერული გერმანიის მამაცხილი მსახურები იყვნენ, მოუვიდა ის, რაც მოუვიდათ ხელმძღვანელ „სოციალისტებს", რომლებისთვისაც მარშალი მარქსზე მაღლა დგას. სიცრუისა და მემარცხენე ფრაზეოლოგიისაგან მოქსოვილ ფარდას არ შეუძლია დიდხანს იარსებოს. იგი გაიხა, და მთელი მისი მოქმედება ნამდვილი სახით გამოჩნდა".

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის არჩევნები

ბუდაპეშტი, 23 აგვისტო. (საქდესი). დღეს უნგრეთის სახელმწიფო კრებამ საზეიმო ვითარებაში აირჩია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, მუდმივად მოქმედი ორგანო, რომელსაც რესპუბლიკის სახელმწიფო კრება ირჩევს და რომელიც მის წინაშე ანგარიშვალდებულია მთელი თავისი საქმიანობისათვის — რედ.)

სახელმწიფო კრების სხდომას დიდი რაოდენობით დაესწრნენ სტუმრებად საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და ადგილობრივი და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი.

სხდომის დარბაზში უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშის, რესპუბლიკის პრეზიდენტის არპად საკაშიჩისა და მთავრობის წევრების გამოჩენას სახელმწიფო კრების დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ — სახელმწიფო კრების ვიცე-თავმჯდომარემ იმრე მოლნარმა წაიკითხა უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მატიას რაკოშის წერილი, რომლითაც მატიას რაკოში სახალხო ფრონტის სახელით სხდომას რჩევას აძლევს აირჩიოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემდეგი შემადგენლობა:

პრეზიდიუმის თავმჯდომარე — არპად საკაშიჩი;

თავმჯდომარის მოადგილეები — კაროლ კიში, დანიელ ნადი;

პრეზიდიუმის მდივანი — კაროლ ოლტი;

პრეზიდიუმის წევრები: ერჟებეტ ანდიჩი, ანტალ აპრო, იშტვან ბალოგი, ფერენც დონატი, მიხალ ერდეი, იოჟეფ ხარუსტიაკი, მარგიტ ხორვატი, იენე კატონა, იშტვან კოვაჩი, ერნე მიხაიფი, ლასლო ნანაში, იოჟეფ პრისოლი, იშტვან რუსნიაკი, იოჟეფ შერეგი, პალ საბო, პიროშკა საბო, პალ ვიგი.

სახელმწიფო კრების დეპუტატებმა რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ერთხმად აირჩიეს სახალხო ფრონტის მიერ წამოყენებული კანდიდატები. ყველა დამსწრე დეპუტატი და სტუმარი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმა პრეზიდიუმის ახლად არჩეულ შემადგენლობას.

რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილია მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, პროგრესული ინტელიგენციის, უნგრეთის უდიდესი პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამის შემდეგ, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის კაროლ ოლტის რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო კრების ახალ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლაიოშ დრაჰოში.

ამით დამთავრდა სახელმწიფო კრების სესია.

შვეციაში ამერიკელი ოფიცრების მიწვევის გამო

სტოკჰოლმი, 24 აგვისტო. (საქდესი). შვეციის დეპეშათა ბიურო გადმოგვცემს, რომ შვეციის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ერენსვერდმა მთავრობას სთხოვა რწმუნება — მოაწყოს შვეციაში სამი ამერიკელი ოფიცრის გამგზავრება „შვეციის არმიის მდგომარეობის გასაცნობად".

ცნობაში აღნიშნულია, რომ შვეციის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იუნგი მხარს უჭერს ერენსვერდის წინადადებას.

ინგლისში ჩავიდა ამერიკის „ბ-50" მარკის ბომბდამშენები

ლონდონი, 24 აგვისტო. (საქდესი). „დეილი უორკერი" იუწყება, რომ 23 აგვისტოს ინგლისში ჩამოვიდა ამერიკის 30 ბომბდამშენი „ბ-50" მარკისა. ისინი შეცვლიან „ბ-29" მარკის თვითმფრინავებს, რომლებიც ერთ ხანს ნორფოლკისა და ლინკოლნშირის საგრაფოების ავიაბაზებში იმყოფებოდნენ.

ბომბდამშენები ეკუთვნიან ამერიკის 43-ე საავიაციო პოლკს და განლაგებული არიან კინგსლინგის ახლო მდებარე ბაზაში (ნორფოლკის საგრაფო).

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის კომუნიკე

პეკინი, 23 აგვისტო (საქდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის კომუნიკეს 1949 წლის ივლისის განმავლობაში ბრძოლების შედეგების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ივლისის განმავლობაში გომინდანურმა არმიამ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩრდილო-დასავლეთ ფრონტსა და ცენტრალური ჩინეთის ფრონტებზე დაკარგა 99.180 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 60.970 კაცი ტყვეთა და 22.980 კაცი მოკლულთა ან დაჭრილთა სახით. გომინდანელთა დანარჩენი ზარალი შედის იმ ჯარების რიცხვში, რომლებიც სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადმოვიდნენ ან მიიღეს წინადადება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებად რეორგანიზაციის შესახებ.

ივლისის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გაანადგურა საარმიო ჯგუფის ერთი შტაბი, 3 საარმიო შტაბი, 8 სრული დივიზია, 1 დივიზიის შტაბი, 4 სრული პოლკი და 11 სრული ბატალიონი.

ამავე პერიოდში მან დაიკავა 70 სამაზრო ცენტრი და ქალაქი, რასთან დაკავშირებითაც განთავისუფლებული ცენტრებისა და ქალაქების რაოდენობა 1.130-მდე გადიდდა.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ივლისის განმავლობაში ხელთ იგდო 847 საარტილერიო ქვემეხი, 3.815 მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 45.459 შაშხანა, კარაბინი და რევოლვერი, 11.599 ათასი ვაზნა, 37.700 ხელის გრანატი, 47 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

გაიხსნა მანჯურიის სახალხო კონგრესი

პეკინი, 23 აგვისტო. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტოს მუკდენელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 21 აგვისტოს მუკდენში გაიხსნა ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციების (მანჯურიის) სახალხო კონგრესი. კონგრესზე აირჩევენ მანჯურიის სახალხო მთავრობის საბჭოს. ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მთავრობის საბჭოს შექმნასთან ერთად მოქმედებას შეწყვეტს ჩრდილო-აღმოსავლეთის ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც მანჯურიაში უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო იყო.

კონგრესს ესწრება 310-ზე მეტი დელეგატი მანჯურიის ყველა კუთხიდან. კონგრესის მუშაობა, როგორც მოელიან, ექვს დღეს გასტანს და დამთავრდება სახალხო მთავრობის საბჭოს წევრთა არჩევით.

სახალხო კონგრესი განიხილავს ჩრდილო-აღმოსავლეთის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის ლინ ფინის მოხსენებას საბჭოს მუშაობის შესახებ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბიუროს მდივნის გაო განის მოხსენებას ადმინისტრაციული პროგრამის შესახებ და მიიღებს დებულებას ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მთავრობის საორგანიზაციო პრინციპების შესახებ.

სახალხო კონგრესის დეპუტატთა არჩევნები მანჯურიის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო ჯერ კიდევ ივნისში, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთის ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კონგრესის მოწვევის შესახებ, და დამთავრდა შუა ივლისში.

ახალი კოლექტიური მეურნეობანი რუმინეთში

ბუქარესტი, 23 აგვისტო. (საქდესი). 21 აგვისტოს იალომიცის, ვასლუის, დოლჟისა და ტუტოვას მაზრების ოთხ რუმინულ სოფელში მშრომელმა გლეხობამ შექმნა ახალი კოლექტიური მეურნეობანი.

იალომიცის მაზრის სოფელ ჩაკუს 85 ღარიბი და საშუალო მეურნეობა, რომელთაც 360 ჰექტარი სახნავი მიწა ჰქონდათ, კოლექტიურ მეურნეობად გაერთიანდა და მას გიორგი დიმიტროვის სახელი ეწოდა.

მსუბუქი ავტომობილების პირველი ქარხნის მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 24 აგვისტო. (საქდესი). დაბა ჟერანში ვარშავის ახლოს დაიწყო მსუბუქი ავტომობილების პოლონეთში პირველი ქარხნის მშენებლობა. ქარხნის აშენება დამთავრდება 1951 წელს. ამა წლის დამლევს გამოუშვებენ პოლონური მსუბუქი ავტომობილების პირველ პარტიას, ხოლო 1952 წელს დაიწყება სერიული წარმოება.

ამ ქარხნის მასშტაბს მოწმობს საქარხნო შენობების მოცულობა, რაც 600.000 კუბურ მეტრს მიაღწევს. მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართობი 40 ჰექტარს შეადგენს.

მომავალი ქარხნის გვერდით უკვე აგებულია ახალგაზრდა მუშათა კადრების მოსამზადებელი საქარხნო სახელოსნო სკოლა. ქარხნის რაიონში აშენდება აგრეთვე საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, კულტურისა და სპორტის სახლი, სასადილო და სხვ.

„მეშახტის დღისათვის" მზადება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 24 აგვისტო. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის მაღაროელები და მეშახტეები აქტიურად ემზადებიან ჩეხოსლოვაკიაში პირველი „მეშახტის დღისათვის", რომელიც 11 სექტემბერს შედგება. მორავსკა ოსტრავაში, კლადნოში, მოსტსა და ჩეხოსლოვაკიის ქვანახშირის სხვა რაიონებში მეშახტეთა შორის უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

დაზვერვა ნოეს კიდობნის ძებნის საბაბით

სტამბოლი, 24 აგვისტო. (საქდესი). გაზეთ „ჯუმჰურიეთის" ცნობით, ამერიკის ექსპედიცია, რომელმაც მიიღო ნებართვა ეგრეთ წოდებული „ნოეს კიდობნის ძიებისა", არარატში გაემგზავრა, საიდანაც ექსპედიცია არარატის მთაზე ავა. ორმა სატვირთო მანქანამ უკვე ჩაიტანა არარატში „საჭირო მოწყობილობა".

1949-50 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პირველ კურსზე ჩარიცხულთა სია

სამკურნალო ფაკულტეტზე
(ქართული სექტორი)

ლ. მ. აბესაძე, ლ. ი. ალადაშვილი, გ. რ. ალავიძე, ლ. ვ. ალექსიშვილი, ბ. გ. აფრასიძე, გ. ტ. ახალაია, გ. ფ. ბარიხაშვილი, გ. ი. ბაბაშვილი, ვ. ი. ბახუტაშვილი, ზ. დ. ბეჟიტაშვილი, ნ. გ. გაგოშიძე, ა. ე. გვენეტაძე, დ. ლ. გიორგაძე, გ. მ. გიგინეიშვილი, ვ. ი. გოგიაშვილი, ლ. გ. გოგიჩაიშვილი, ქ. ა. გოცირიძე, ფ. შ. გუმბერიძე, რ. ვ. გურგენიძე, ლ. ვ. გურგენიძე, ჯ. ბ. გუჯაბიძე, ჯ. ვ. დვალიშვილი, ქ. ოსმ. დიასამიძე, ლ. ვ. დოლიძე, ე. შ. ვაშაკიძე, ლ. ზ. თოდუა, თ. ა. იმნაძე, ა. რ. ისმაილოვი, ც. მ. კალანდაძე, ნ. ფ. კარაპეტიანი, ე. ვ. კინწურაშვილი, გ. გ. კორვალიძე, თ. ლ. კოდიაშვილი, ც. ბ. კორკოტაძე, ნ. გ. კობრეიძე, ლ. გ. კაკუბერი, ქ. ბ. ლომიაშვილი, ო. ვ. ლორთქიფანიძე, ა. ფ. მამარდაშვილი, ს. ა. მამინაია, ც. ი. მაჩხანელი, ა. გ. მებუკე, ტ. ვ. მიქაძე, ე. გ. მონადირიშვილი, შ. დ. მსახურაძე, მ. ვ. მშვიდობაძე, მ. ო. ნაკაშიძე, ა. ა. ნინუა, ც. ტ. ნოდია, მ. მ. ორაგველიძე, ი. ა. პაპიაშვილი, ზ. ა. პატეიშვილი, ტ. შ. პიტიურიშვილი, ნ. ა. პერტია, გ. გ. რუსია, გ. ა. რუხაძე, ა. ლ. სამადალაშვილი, ა. თ. სარია, დ. კ. საყვარელიძე, შ. ს. საჯაია, ნ. ნ. სეთურიძე, მ. ი. სეფაშვილი, მ. ი. სისაური, ა. ნ. სოჭხიშვილი, ე. ა. უბილავა, ე. ი. ურიდია, რ. ა. ურუშაძე, ჯ. რ. ფანცხავა, ნ. ი. ფილიპოვა, ც. მ. ფირცხალეიშვილი, ც. ს. ფუტკარაძე, ბ. ი. ფხალაძე, დ. ბ. ქასრაშვილი, დ. ხ. ქიქავა, ლ. ს. ქუთათელაძე, გ. ს. ქურციკიძე, ბ. გ. ყარაულაშვილი, ლ. მ. შაფაქიძე, ც. ნ. შენგელია, გ. შ. ჩახნავა, ჯ. გ. ჩიკვაიძე, ქ. ს. ჩიქოვანი, რ. კ. ჩხაიძე, ძ. ვ. ჩხეტიანი, გ. ა. ცხადაია, ლ. ნ. წერეთელიშვილი, დ. შ. წოწონიძე, ნ. კ. ჰეჭინაძე, ლ. ვ. ჭრელაშვილი, ლ. ი. ჭუმბურიძე, ც. დ. ხარაძე, გ. დ. ხარაზიშვილი, ი. ი. ხედაშელი, მ. გ. ხეცურიანი, ზ. ი. ხითარიშვილი, ა. გ. ხუჭუა, გ. გ. ხერგიანი, ნ. მ. ჯაში, ფ. კ. ჯვარშეიშვილი.

სამკურნალო ფაკულტეტზე
(რუსული სექტორი)

ი. დ. ალხანაშვილი, ი. კ. ანანიკიანი, ლ. თ. ზეკოევა, ლ. გ. ბოჭორიშვილი, მ. პ. ბუჩიძე, ვ. შ. გაგნიძე, ნ. ლ. გაბრიაძე, კ. ა. გულანიანი, გ. გ. დანდუროვა, მ. მ. დიაკოვა, ლ. ა. თორია, მ. ნ. კოკოევა, ლ. ვ. კორძაძე, დ. ს. ლეონიძე, ნ. მ. ლომთათიძე, მ. გ. მელკოევა, თ. გ. მეძმარიაშვილი, ლ. ტ. როსტომოვა, ქ. კ. სავვიდი, ლ. ი. სულხანიშვილი, ე. ბ. ტუკოევა, მ. დ. ურაინცევა, კ. ს. ფოტოვ, ბ. პ. ქორქია, ი. ა. ცხოვრებოვ, თ. ა. ჯანგობეგოვა.

პედიატრიულ ფაკულტეტზე

ა. ა. ადამია, ვ. რ. ანდრონიკაშვილი, მ. ა. აბელდიანი, ლ. ვ. ბარამიძე, ნ. გ. ბაზერაშვილი, ლ. ი. ბაკურაძე, ლ. გ. ბუაძე, ლ. ი. ბუაძე, ე. გრ. გაფრინდაშვილი, შ. ს. გიორხელიძე, მ. ნ. გრიგოლაშვილი, ჯ. ა. დევდარიანი, რ. ს. დინიშვილი, ლ. ი. დონჯაშვილი, მ. ა. ზანგალაძე, ნ. ა. თედიაშვილი, ც. ა. ილურიძე, კ. კ. კაპანაძე, მ. გ. კოპაძე, ლ. ბ. მაჭარაშვილი, მ. ი. მაჭარაშვილი, დ. ვ. მიქაუტაძე, ჯ. ი. მუსელიანი, ლ. დ. ნადარეიშვილი, დ. ვ. ნავერიანი, მ. რ. ნემსაძე, მ. ა. ნინუა, ნ. ს. პეტრიაშვილი, ა. ვ. პირველი, ც. ე. ძორძოლიანი, ლ. გ. ჯღამაძე, ლ. ე. სარაშვილი, თ. გ. სურამელაშვილი, ნ. ც. ტლაშაძე, ე. ვ. ურიოტაძე, ლ. ვ. ფერაძე, ნ. ბ. ფოცხვერაშვილი, ლ. გ. ქარცივაძე, გ. ვ. ქამაკაშვილი, ს. გ. ქეცბაია, ვ. ს. ღლონტი, თ. გ. ყორღანაშვილი, მ. ა. ყონიაშვილი, ლ. კ. ყრუაშვილი, მ. ე. შანიძე, ა. ს. შენგელია, ლ. ბ. ცუცქირიძე, მ. გ. ჰელიძე, ნ. ი. ჰელიძე, კ. მ. ჰუიძე, ქ. ვ. ხარჯიაძე, ქ. ს. ჯიბლაძე.

სანიტარულ-ჰიგიენურ ფაკულტეტზე

ნ. მ. ასაბაშვილი, ზ. ო. გიორგაძე, პ. ა. გულორდავა, ტ. პ. დევდარიანი, ნ. ს. ზერეკიძე, ლ. დ. თაქთაქიშვილი, კ. მ. იმნაიშვილი, თ. გ. კუხალაშვილი, მ. ა. მახარაძე, ა. კ. მელაძე, ნ. ვ. მეძველია, ო. ვ. მიქაბერიძე, ა. ვ. ლეჩკაშვილი, ნ. გ. ლომთათიძე, გ. შ. ნერგაძე, ლ. მ. პატარაია, ჯ. ა. სურამანიძე, თ. შ. ღვინიაშვილი, მ. ა. ჩაკვეტაძე, თ. ი. ჩომახიძე, ე. გრ. ჩქოტუა, გ. ვ. წერეთელი, თ. მ. წვეროკმაზაშვილი, ა. მ. ხაბაზი, თ. ლ. ხუციშვილი.

სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე

ნ. კ. ბერულავა, ა. ა. ბრეგაძე, ზ. ლ. ბუაძე, ლ. კ. გაბისონია, თ. ა. გაბრიჩიძე, ლ. გ. გამკაძე, ლ. დ. გარაყანიძე, ე. ა. გიორგაძე, თ. ა. დევდარიანი, მ. ბ. დოლიძე, ა. ი. ვიშნევსკი, შ. დ. ზურაბაშვილი, მ. გ. თედევე, მ. დ. თოხაძე, დ. გ. ჟურჟია, თ. ი. ითონიშვილი, ე. ჯ. ინაიშვილი, მ. კ. კაზარიანი, ლ. ვ. კახიანი, დ. გ. კვანტრიშვილი, ე. პ. კვაჭაძე, მ. ი. კობეშავიძე, ლ. ლ. კოდუა, გ. შ. ლაიშვილი, ლ. ი. ლანდია, ე. გ. ლაფანაშვილი, ვ. ა. მაჭარაძე, მ. ი. მელიქოვი, ვ. მ. მჭედლიშვილი, ნ. ე. მჭედლიძე, ლ. ა. სოლიკოვი, მ. გ. სტაძე, ლ. შ. სტურუა, ნ. ბ. უშვერიძე, ნ. გ. ფილია, ჯ. თ. ქანდაურიშვილი, ქ. ვ. ქორჩილავა, მ. ი. ღოღობერიძე, გ. ს. ღოღობერიძე, ნ. ე. ჩიტორელიძე, ნ. ა. ციტიშვილი, ც. ნ. წულაძე, გ. ლ. წურწუმია, ე. მ. ჭანტურია, მ. ი. ხელაშვილი, ნ. კ. ხუჭუა, ე. ა. ჯაფარიძე, ქ. ბ. ჯიჯეიშვილი.

ფარმაცევტულ ფაკულტეტზე

ი. ს. ბაიდოშვილი, მ. ე. ბარაბაძე, კ. დ. ბერიშვილი, დ. ბ. ბიბილეიშვილი, თ. ვ. ბოჩაძე, ს. გ. დინგაშვილი, ვ. ი. დოგუზოვი, რ. ს. დოლბაია, მ. გ. ერისთავი, ა. ა. ეფენდიევა, ქ. რ. თედორაძე, რ. ი. თოდუა, ე. ნ. კაპანაძე, მ. ი. კველიშვილი, მ. ი. კვანჭახაძე, ც. ა. კერატაშვილი, კ. რ. კობალაძე, ბ. ე. კობრეიძე, ლ. გ. მაზმიშვილი, ლ. გ. მოლაშვილი, რ. ი. მეხურაძე, თ. ა. ნადირაშვილი, მ. პ. ნაზღაიძე, ზ. ს. ზაქარიაშვილი, ი. კ. ორაგველიძე, ნ. ი. პრასიევი, მ. გ. სვანაძე, დ. შ. სუმბაძე, ე. ა. ტიგინაშვილი, ლ. ნ. ტირაცუევი, ზ. ი. ტერმარკოზაშვილი, ქ. ა. უზნაძე, ა. ს. ფარემუზოვი, ვ. გ. ფილიევი, ე. ა. ქავთარაძე, ნ. ფ. ქებულია, ც. კ. ყოლბაია, გ. კ. შალიბაშვილი, თ. ი. ძამუკოვი, კ. ვ. ჭანტურია, ც. გ. ჭანტურია, რ. ვ. ჯაში, ს. ე. ჯოლობავა.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. ჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ 30 აგვისტოს რეგისტრაციაში გასატარებლად.

ჟურნალი „მნათობი" № 7

გამოვიდა ჟურნალი „მნათობი" № 7. ჟურნალში მოთავსებულია: გიორგი დიმიტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები; **კონსტანტინე გამსახურდია** — დავით აღმაშენებელი (ტრილოგია, წიგნი მესამე, გაგრძელება); **გიორგი კაჭახიძე** — გურული ქალი (ლექსი); **კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — იმერეთის ცისკარი (ერთი თავი რომანის მეორე წიგნიდან); **ნინო დოლიძე** — ერთ ახალშენზე (მოთხრობა); **ალიო ადამია** — მესხეთის გაზაფხული (ლექსები); **დავით ბაქრაძე**—გმირთა სისხლით (გაგრძელება); **ოთარ მამფორია** — ავტოგიგანტის კედლებთან (პოემა); **ლესია უკრაინკა** — ტყის სიმღერა (დრამატული პოემა, თარგმანი რაჟდენ გვეტაძისა); ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **რ. შადურის** მოხსენება მწერალთა საერთო კრებაზე 1949 წლის 17 აგვისტოს); **ივანე შამუგია** — სახალხო დემოკრატიის ქვეყნები (წერილი).

ჟურნალში მდიდრად არის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიის განყოფილება.

დიდი მოგება

ამ დღეებში თბილისის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ბეთანიის დამხმარე მეურნეობის მწყემსმა—მიხეილ მელქოს-ძე სარდლიშვილმა წარადგინა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 25.000 მანეთი მოგება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის დირექცია აცხადებს, რომ საღამოს უნივერსიტეტში და მის ფილიალებში მეცადინეობა განახლდება 1 სექტემბრიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

26 აგვისტოს კინოთეატრებში

„რუსთაველის" სახელობის რუსთაველის პროსპ. 7 ტელ. 3-09-50	„მიშკა არისტოკრატი" დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს.
„ოქტომბერი" პლეხანოვის პროსპ. 135 ტელ. 3-39-84	„შეხვედრა ჯუნგლებში" დასაწყ. 3-45, 5-45 7-45 9-45
„ამირანი" პლეხანოვის პროსპ. 125 ტელ. 3-46-61	(საზაფხულო) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყისი 8-45, 10-30 (ზამთრის) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8, 10 ს.
„თბილისი" ჯორჯიაშვილის ქ. № 2 ტელ. 3-57-88	„შეხვედრა ჯუნგლებში" დასაწყისი 4-30, 6-30, 8-30, 10-30
„სპარტაკი" რუსთაველის პროსპ. 23 ტელ. 3-08-27	„შეხვედრა ჯუნგლებში" დასაწყისი 12. 2, 5-50, 7-50, 9-50
„კომკავშირელი" პლეხანოვის პროსპ. № 93 ტელ. 3-29-61	(საზაფხულო) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყისი 8-30, 10-30 (ზამთრის) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყისი 4-5, 7-50, 9-50
26 კომისრის სახელობის მაუდიანის მოედანი, 1 ტელ. 3-43-09	(საზაფხულო) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყისი 9, 10-30 (ზამთრის) „მიშკა არისტოკრატი" დასაწყ. 12, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 ს.

მოქალაქე **არმენაკ ბაგრატის-ძე ასლანოვმა,** მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 184, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ვასილის ასულ ქარიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მიხაკო შვილებით, დედა ოლია, დები ჰოლისი, იენონა, ძმები პორფილე, ეკე ოჯახებით, ბიძები ილია და ლავროსი, მირცა კალანდაძეები იუწყებიან **ლიზა სურმანიძე-ინწკირველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-VIII, მთისპირში (მახარაძის რაიონი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ იულია კოჩიევას მისი მამის **ივანე კოჩიევის** გარდაცვალების გამო.

დედა გაიანე, ძმები ალექსანდრე, შალვა, მიშა ცოლშვილით იუწყებიან **თამარ გრიგოლის ასულ თოლორაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VIII, 6 ს. მარის 15/17.

ახალქალაქის საექიმო უბნის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო მეზურნოვს მისი დედის **ეკატერინე ალოევის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 26-VIII, ს. ახალქალაქში (კასპის რაიონი).

მეუღლე ლუბა, შვილები ნოდარ, მერი და მურთაზი იუწყებიან, რომ 28-VIII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე გრძელიშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი იუწყება მხატვარ **დავით ალექსანდრეს-ძე გველესიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-VIII, 8 ს. გამოსვენება 27-VIII, 5 ს. ჰოჩქაძის, 19.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტო და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უფ 00790